საერთო გაზეთი

№15 (426) • 19 აპრილი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

გიორგი კვირიკაშვილი:
დღეს ჩვენ ნამდვილად გვაქვს შესაძლებლობა, შევქმნათ წარმატების სრულიად ახალი ისტორია

მარტოობის ოცი საუკუნე
და გზა შინისკენ

ევროპას არ სჭირდება მონები, ევროპას ღირსეული პარტნიორები სჭირდება...

სასიხარულოა, რომ ირაკლი კობახიძე, ეს ახალგაზრდა კაცი, დროის სულ მცირე მონაკვეთში უაღრესად საინტერესო პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა...

პეტრე მამრაძე:
მარგველაშვილი ნაცებისა და კოლექტიური ბოკერიების დავალებებს ასრულებს

ააფეთქებს თუ არა „ბომბების დედის“ აფეთქება მსოფლიოს მომავალს?

ნიკა მჭავანაძე:
სოროსის ხელდასხმული ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების პარპაში თუ არ აღიკვეთა, ისინი საქართველოს დაღუპავენ

საალდგომო ტრადიციები
საქართველოსა და მსოფლიოში

შერაცხავენ თუ არა „მჯდომარე ანასტასიას“ წმინდანად?

მარტოობის ოცი საუკუნე და გზა შინისკენ

ევროპას არ სჭირდება მონები, ევროპას ღირსეული პარტნიორები სჭირდება

— „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით პრეზიდენტი მარგველაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი, სტრასბურგის სასამართლოზე პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენას ცდილობდნენ, — ამგვარი შინაარსის განცხადება გააკეთა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ერთ-ერთ ტელეინტერვიუში, რასაც საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

კობახიძის ოპონენტები აღშფოთებას ვერ მალავდნენ: — როგორ გაბედა ირაკლი კობახიძემ ასეთი მკრეხელური მოსაზრების გამოთქმა სტრასბურგის სასამართლოს წინააღმდეგ? მისი აზრით, სტრასბურგის სასამართლო ადვილად ხელწამოსაკრავი ის ინსტიტუციაა, რომელზეც პოლიტიკური გავლენის მოხდენა შეიძლება? ეს ხომ სტრასბურგის სასამართლოს შეურაცხყოფაა, მისი ავტორიტეტის დისკრედიტაციაა? ირაკლი კობახიძე ვერ ხვდება, რომ ამგვარი განცხადებებით საქართველოს ურთიერთობა გაუფუჭდება სტრასბურგთან. ამის გამო საქართველო დაისჯება, — აი, ასეთი საგანგაშო და აპოკალიფსური შინაარსის რეპლიკების ნიაღვარი წამოვიდა „თავხედი“ (როგორც მას ერომა ვეტერანმა დემაგოგმა უწოდა) კობახიძის მისამართით.

სტრასბურგის სასამართლოს ღირსების არამკითხე დამცველებს არც უცდიათ გაერკვიათ, სინამდვილეში რა თქვა ირაკლი კობახიძემ და რა იყო ამ მოსაზრებაში სტრასბურგის სასამართლოს შეურაცხყოფელი, თორემ, სურვილის შემთხვევაში, ცხადზე ცხადი იყო, რომ ირაკლი კობახიძე სტრასბურგის სასამართლოს ობიექტურობის და მიუკერძოებლობის თემას საერთოდ არ შეხებია, არც მისი კომპეტენციის საკითხი დაუყენებია ეჭვქვეშ, მან თქვა ის, რაც თქვა: ვიღაც-ვიღაცები სტრასბურგის სასამართლოზე პოლიტიკური ზემოქმედების მოხდენას ცდილობდნენო.

ირაკლი კობახიძემ ამის შესახებ განმარტებაც გააკეთა და ზუსტად ახსნა, თუ რისი თქმა უნდოდა და რა თქვა მან ამ განცხადებაში.

კობახიძის ოპონენტები არც ისე გონებაჩლუნგები არიან, რომ ამ განცხადებიდან აზრის გამოსატანად ახსნა-განმარტება დასჭირვებოდათ.

მათ, უბრალოდ, საბაბად და მიზეზად გამოიყენეს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომ კიდევ ერთხელ დაემტკიცებინათ, რა ფხიზლად დგანან ევროპული ღირებულებების, ევროპული ინსტიტუტების ღირსების სადარაჯოზე და როგორ იცავენ მას ირაკლი კობახიძის მსგავსი „რევიზიონისტ-უკლონისტებისგან“, რომლებიც ბედავენ და ისეთ წმინდათაწმინდა ინსტიტუტს, როგორიც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოა, თავიანთი ორაზროვანი და ორჭოფული განცხადებებით ჩრდილს აყენებენ და სახელს უტეხენ.

მათ, თავიანთი მონური კომპლექსებიდან გამომდინარე, ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება იყო სახელისუფლო გუნდის წევრი, იყო პარლამენტის თავმჯდომარე და სტრასბურგის სასამართლოს, გნებავთ, ევროპარლამენტის თუ ევროსაბჭოს რომელიმე გადაწყვეტილებაზე კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა.

ეს მონური, პატრონყმურ-ქვევრდომული ფსიქიკა, გადმოყოლილი საბჭოური წარსულიდან, დღემდე შემორჩა ქართველ პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს.

დააკვირდით, როგორ საუბრობენ ისინი ევროპაზე, დასავლეთზე, სტრასბურგსა თუ ბრიუსელზე — თითქოს ნირვანაში არიან და ლოცულობენ, ერთი პირჯვრის გადაწერა და ხელში სანთლები აკლიათ.

ეს რაღაც ახალი ტიპის „მრევლია“, რომელმაც პროდასავლური ორიენტაციის ქადაგებით, ლამის არის, პოლიტიკა ახალი რელიგიის რანგში აიყვანოს, სადაც დოგმებიდან გადახვევა მიუტევებელ ცოდვად და ქვეყნის ღალატად ითვლება.

ამ მრევლმა ისიც კი მოითხოვა, რომ ჩვენს სამოქალაქო „სახარებაში“, ანუ კონსტიტუციაში, ცალკე მუხლად შეეტანათ კანონი, რომ საქართველო არასოდეს გადაუხვევს ევრო-ატლანტიკური კურსიდან.

იმდენად დიდი სიბრიყვეა, იმდენად დიდი უწიგნურობა და პროვინციალიზმია ამის მოთხოვნა, რომ მასზე მსჯელობა არც ღირს, მაგრამ ამ „ისტორიული“ ინიციატივის ავტორებს რომ ჰკითხო, ვინც ამ აბსოლუტურ იდიოტიზმსა და კრეტინიზმს მხარი არ დაუჭირა, მათი აზრით, ისინი, შეიძლება, ფარულად პრორუსული ორიენტაციისანი იყვნენ.

არადა, სწორედ ამ ადამიანებმა, რომლებიც საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს მთელი ევროპა მხარს უჭერდა მათ ქმედებებს, მოახდინეს ევროპული ღირებულებების სრული დისკრედიტაცია.

რა ვქნათ? არ ვთქვათ, დავმალოთ ის ამბავი, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფად და მისი უმაღლესი სასამართლო ორგანოს უპატივცემულობად და აბუჩად აგდებად მიიღო?

ბარემ ისიც ვიკითხოთ, ასეთი გადაწყვეტილებები საქართველოს ევროკავშირთან და, ზოგადად, ევროპასთან აახლოებს, თუ აშინებს და აფრთხობს?

მონებს რა ენაღვლებათ? მათი სადარდებელი საქართველო კი არა, ყოველთვის პირადი ინტერესები იყო — პირადი კეთილდღეობა, პოლიტიკური კარიერა, ძალაუფლება, საკუთარი ქვეყნისა და მშობელი ხალხის ძარცვისა და დაყაჩაღების ექსკლუზიური უფლება — აი, ის „ღირებულებები“, რისთვისაც იბრძოდნენ და დღემდე იბრძვიან ისინი.

მონებისთვის სამშობლო, სამშობლო კი არა, აღებ-მიცემობის და სარფიანი ვაჭრობა-გარიგების საგანი იყო ყოველთვის და ასეა ახლაც, რადგან მონის ფსიქიკას დრო და ეპოქა არ ცვლის...

საქართველოს ევროპული არჩევანი „ნაცმოძრაობის“ ქადაგების გამო არ გაუკეთებია — ეს მისი ისტორიული არჩევანია, რადგან საქართველო თავად არის ევროპა, მისი ნაწილი, მისი გაგრძელება, ისე, როგორც ევროპაა საქართველოს ნაწილი და მისი გაგრძელება.

საქართველომ მარტოობის ოცი წელი კი არა, მარტოობის ოცი საუკუნე განვლო, სანამ თავისი მშობლიური სახლის, ევროპის, კარებს მიადგებოდა.

უბრალოდ, იმის გაფიქრება და გააზრებაც კი შემაძრწუნებელია, თუ რა გოლგოთის გზა გავიარეთ, რამდენი მსხვერპლი გავიღეთ, რამდენი ტანჯვა-წამება გადავიტანეთ, რომ აქამდე მოვსულიყავით და ევროპული ოჯახისთვის დაგვებრუნებინა ევროპის ის ნაწილი, რომელიც ჩვენში იყო.

ის, რაც საქართველომ გააკეთა შინ დასაბრუნებლად — ეს არის უამრავი თაობის, უამრავი ადამიანის კოლექტიური გმირობა.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩვენ ევროპაში ვბრუნდებით როგორც გმირები, როგორც გამარჯვებულები და არა თაშმესაფრის მაძიებელი ღარიბები.

კარგი იქნება, თუ ამის შესახებ ევროპასაც უფრო ნათლად და გამოკვეთილად ვეტყვით ჩვენს სათქმელს...

ევროპას არ სჭირდება მონები, ევროპას ღირსეული პარტნიორები სჭირდება, რომლებიც დაიცავენ და განავითარებენ თავიანთ ეროვნულ ინტერესებს, შეინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ სახეს და ინდივიდუალობას.

სხვა დროსაც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება ეს იყო წლების განმავლობაში შეჩერებული და დაპაუზებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რომლითაც დამთავრდა შინაური დამპყრობლების, საკუთარი ქვეყნის ბატონებად ქცეული მონების ბოგინი საქართველოში.

ახლა დროა, გავიხსენოთ დავიწყებული დიადი სიტყვა, სამშობლო, რომელიც, „როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“.

დაბოლოს, სიხარულით უნდა აღვნიშნო, რომ ირაკლი კობახიძე, ეს ახალგაზრდა კაცი, დროის სულ მცირე მონაკვეთში უაღრესად საინტერესო პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული პოზიცია, მკვეთრად გამოხატული პრინციპები, რომლებიც თანხვედრაშია იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებთან, რომლის პარლამენტის თავმჯდომარეც ის არის...

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

დღეს ჩვენ ნამდვილად გვაქვს შესაძლებლობა, შევქმნათ წარმატების სრულიად ახალი ისტორია

2017-2020 წლებში 2500 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება

1000 კილომეტრი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, დამატებით 500 000 ადამიანისთვის 24-საათიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფა, მთელი ქვეყნის მასშტაბით ნაგავსაყრელების პრობლემის მოგვარება და ჯამში 10 მილიარდ ლარამდე ღირებულების 2 500 ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი 2017-2020 წლებში განხორციელდება.

საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მიმართულების - სივრცითი მოწყობის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების განხორციელების სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია გაიმართა სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" საკონფერენციო დარბაზში, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

პრეზენტაციაზე პროექტების შესახებ დეტალურად ისაუბრა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ზურაბ ალავიძემ. მისი თქმით, ეს გეგმა გულისხმობს მასშტაბური და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებას, ქვეყანაში არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და სრული დატვირთვით მუშაობას ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის.

„განხორციელდება უმნიშვნელოვანესი პროექტები გზების, წყალმომარაგების, ტურისტული ინფრასტრუქტურის, ეკოლოგიის, გარემოს დაცვისა და სხვა მიმართულებით. განსაზღვრულია მიდგომები, რომლებითაც ქვეყნის ყველა მოქალაქე საქართველოს ნებისმიერ კუთხეში შეძლებს მიიღოს განათლება, დასაქმდეს და თავად დაასაქმოს. სრული დატვირთვით ამუშავებული და განვითარებული ინფრასტრუქტურა მისცემს მოსახლეობას არსებული შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას", - განაცხადა ალავიძემ.

„დაგეგმილია 1000 კილომეტრი გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დამატებით ნახევარ მილიონამდე ადამიანი ისარგებლებს 24-საათიანი წყალმომარაგებით, აშენდება შვიდი ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 120-ზე მეტ საზოგადოებრივ-კულტურული დანიშნულების ობიექტს. 2500-მდე პროექტის განხორციელება პირდაპირ შექმნის 40 000 სამუშაო ადგილს", - აღნიშნა მინისტრმა.

2500 პროექტისთვის განკუთვნილი უპრეცედენტო მოცულობის ინვესტიციიდან - 10 მილიარდი ლარიდან, მხოლოდ 2017 წელს 1 მილიარდ 260 მილიონი ლარი დაიხარჯება.

„დარწმუნებული ვარ, საქართველოს ძალიან საინტერესო ხვალინდელი დღე ელოდება", - ეს განცხადება პრემიერ-მინისტრმა პრეზენტაციაზე გააკეთა. გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ დაგეგმილი სტრატეგიული და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად, ქვეყანაში 40 000 სამუშაო ადგილი შეიქმნება, ხოლო სახელმწიფო უფრო ძლიერი და ეკონომიკურად განვითარებული გახდება.

„ჩვენმა ქვეყანამ უკვე შექმნა წარმატების ძალიან მნიშვნელოვანი ისტორია: ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება, ჩვენი ქვეყანა დავაყენეთ დემოკრატიული განვითარების გზაზე და სტაბილური განვითარებით ვქმნით ახალ რეალობას. დღეს ჩვენ ნამდვილად გვაქვს შესაძლებლობა, შევქმნათ წარმატების სრულიად ახალი ისტორია, რომელშიც თითოეულ მოქალაქეს ექნება ყველა პირობა ღირსეული ცხოვრებისთვის. დარწმუნებული ვარ, ქვეყნის განვითარების ხედვა, ის ოთხპუნქტიანი გეგმა, რომელიც ჩვენმა მთავრობამ შეიმუშავა, გარდამტეხ როლს შეასრულებს საქართველოს სწრაფ განვითარებაში, სწრაფ წინსვლაში და სრულიად ახალ შესაძლებლობებს შექმნის ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი მოსახლეობისთვის", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ქვეყნის თანამიმდევრული და სწრაფი განვითარების მყარ საფუძველს შექმნის სივრცითი მოწყობის გეგმა, რომელშიც მთლიანად არის გათვალისწინებული საქართველოს, მისი თითოეული რეგიონისა და ადგილის უნიკალურობა და პოტენციალი. საკმარისი რესურსი არსებობს, რათა რეგიონები თანაბრად იყოს განვითარებული, რაც სამწუხაროდ დღეს ასე არ არის.

„21-ე საუკუნეში გეოგრაფიული მდებარეობა აღარ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ჯანდაცვის, განათლების მიღების, სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის, ბიზნესის კეთებისა თუ სხვა თვალსაზრისით. ჩვენი მიზანია, ხელმისაწვდომი პირობები შევუქმნათ ჩვენს მოქალაქეებს ქვეყნის ნებისმიერ წერტილში", - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციას, ვინც საქართველოს მთავრობას ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში გვერდით უდგას, ასევე - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

„რას მოუტანს ახალი სივრცითი მოწყობა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მოსახლეობას?

- ახალ გზებს, მაგისტრალებს, ახალ აეროპორტებს, პორტს, ხიდებს, გვირაბებს, ჩვენი ქვეყნის სრულიად ახალ შესაძლებლობებს. ეს მოგვიტანს ახალ 40 000 სამუშაო ადგილს! მეტ დასაქმებულს, მეტ შემოსავალს, უფრო ძლიერ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანას! ვფიქრობ, წარმოდგენილი დეტალური გეგმა ძალიან საინტერესო და იმედისმომცემი იქნება ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი თითოეული მოქალაქისთვის, რადგან პროექტები აბსოლუტური სიზუსტით არის გათვლილი და დროშია გაწერილი", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრეზენტაციის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა სტრატეგიული გეგმა კიდევ ერთხელ, ჟურნალისტებთან საუბრისას შეაფასა და აღნიშნა, რომ პროექტების განხორციელების შედეგად შეიცვლება საქართველოს ყველა წერტილში სერვისების ხელმისაწვდომობა და ყველა რეგიონი ერთმანეთს დაუკავშირდება.

„შედეგად, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზრდება, შეიქმნება 40 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი ადგილობრივად და საქართველო სრულად განახორციელებს იმ გეოსტრატეგიულ სატრანზიტო ფუნქციას, რომელიც ჩვენ გვაქვს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გარღვევა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, თვისებრივი, ხარისხობრივი ცვლილება ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესების კუთხით. ვფიქრობ, ასეთი მასშტაბური, დეტალებში გაწერილი და ერთიან კონტექსტში ჩასმული გეგმა საქართველოს ისტორიაში არ ჰქონია. ამ გეგმის განხორციელება ჩვენი ვალია, რათა ჩვენი მომავალი თაობებისთვის შევქმნათ სრულიად ახალი ტიპის ცხოვრების პირობები და პერსპექტივა ჩვენს ქვეყანაში განვითარებისთვის", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პეტრე მამრაძე:

გიორგი მარგველაშვილი ნაცებისა და კოლექტიური ბოკერიების დავალებებს ასრულებს

გვესაუბრება ბატონი პეტრე მამრაძე:

— კონსტიტუციისთვის უაღრესად საზიანო პროცესები მაშინ დაიწყო, როცა სააკაშვილი „ვარდების რევოლუციის" მოხდენისთანავე ჭრა-კერვას შეუდგა. არ დამავიწყდება, როდესაც მთავრობის სხდომაზე მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა: ახლა, მოვუსმინოთ ზურაბ ადეიშვილს, ადამიანს, რომელმაც საქართველოს კონსტიტუცია გააუპატიურაო. ეს იყო 2004 წლის დასაწყისი, უკვე, მაშინ ჟვანიამ ასეთი შეფასება გააკეთა. სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში, როცა იგი თავს პრემიერ-მინისტრად მოიაზრებდა უკვე, მას დილით რაღაც აზრი მოუვიდოდა თავში, კოლექტიურ პალიკო კუბლაშვილებს თავისთან იხმობდა და საღამოს, ნაჩქარევი წესით, პარლამენტს კენჭი უნდა ეყარა. ერთსაც გეტყვით: საგულისხმოა, რომ თავის დროზე პუტინი პრეზიდენტობიდან ისე გადადგა, რუსეთის კონსტიტუციას ხელი არ ახლო, ერთი ვადა პრემიერ-მინისტრი იყო და მერე კვლავ პრეზიდენტად დაბრუნდა. პუტინს საკუთარი ავტორიტეტისა და რეალური ძალაუფლების რწმენა ჰქონდა. ხაზგასმით ვამბობ: სააკაშვილს თავისივე გუნდის წევრებისაც არ სწამდა, არ სჯეროდა. მას უნდოდა თავი დაეზღვია და ყველაფერი კონსტიტუციაში ჩაეწერა, რის გამოც მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. უსუფაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეობისას კონსტიტუცია ასე დაახასიათა — ეს არ არის არც საპარლამენტო და არც საპრეზიდენტო რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს არის სუპერ საპრემიერ-მინისტრო კონსტიტუციაო.

— რა ხდება დღეს, ამჟამად, როგორი კონსტიტუცია გვაქვს?

— მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: მასმედიიდან რჩება შთაბეჭდილება, თითქოს, ძირითადი საკითხი საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესია. ამ დროს, ეს არ არის მნიშვნელოვანი საკითხი. ჯერ ერთი, თუ საპარლამენტო მმართველობის წესზე გადავდივართ, რაც ნამდვილად საჭიროა, ვინაიდან დემოკრატიული მმართველობა, ჩვენისთანა ქვეყნებში, მართვის საპარლამენტო წესით გაცილებით უფრო უზრუნველყოფილია, მაშინ პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს და არა მთელი მოსახლეობა. ასეა, გერმანიაში, იტალიაში, ისრაელში და ა.შ. ერთი მხრივ, მარგველაშვილი ფიქრობს, რომ ახლანდელი არჩევის წესით ისევ გახდება პრეზიდენტი. მისი ფიქრები სრულიად გაუმართლებელია, მას არწმუნებენ თითქოს ხალხში პოპულარულია, რაც რეალობას, სრულიად აცდენილია. მეორე მხრივ, მან იცის, თუ პრეზიდენტს პარლამენტი აირჩევს, მას კანდიდატად არც კი წარადგენენ. ყველაფერი აქამდე დავიდა. არადა, პირველ რიგში, კონსტიტუციაში ის მუხლებია გასასწორებელი, რომლებიც ხელისუფლების შტოების ერთმანეთისგან დამოუკიდებლობას განსაზღვრავს. ანუ, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებების დამოუკიდებლობას. აქ, განსაკუთრებით ხაზგასასმელია პროკურატურის დამოუკიდებლობა, რომელიც სასამართლო სისტემის შტო უნდა იყოს და მაშინ შეიძლება კანონის უზენაესობაზე ვიფიქროთ.

აგერ, საკონსტიტუციო კომისია მუშაობს, მაგრამ სიტყვა არავის დასცდენია, კონსტიტუციის დონეზე, მანკიერი სისტემის დემონტაჟი მოხდეს და უზრუნველყონ სწორი, გამართული სისტემა, რაც განვითარებას შეუწყობს ხელს. მინდა ხაზი გავუსვა, კონსტიტუციონალისტების, იურისტებისა თუ სხვა სპეციალისტების დონეზე აღიარებულია ის, რომ კონსტიტუცია არასოდეს არსად პანაცეა არ არის. კონსტიტუცია ერს, სახელმწიფოს უბედურებისაგან ვერ დაიცავს. თუ შეიქმნა ობიექტური პირობები იმისა, რომ ქვეყანაში ავტორიტარიზმმა ან დიქტატურამ გაიმარჯვოს, ეს ნებისმიერი კონსტიტუციის პირობებში მოხდება. გერმანიას შესანიშნავი კონსტიტუცია ჰქონდა, როცა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგად ჰიტლერმა ძალაუფლება აიღო. სხვა მაგალითებიც არსებობს. მაგრამ კონსტიტუცია მაინც მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელსაც გარკვეული შემაკავებელი როლი აქვს. მაგალითად, საპარლამენტო სისტემაზე გადასვლამ სამხრეთ-ამერიკის ქვეყნებს ხელი შეუწყო დემოკრატიულ წყობაზე გადასულიყვნენ. ასე მოხდა ევროპაშიც.



— ბატონო პეტრე, მუდმივად გვესმის, საპარლამენტო რესპუბლიკა ვართო, არადა წლებია, ფაქტობრივად, ერთპარტიული პარტამენტი გვაქვს...

— დასავლეთში, ბევრგან, რეალურად, რამდენიმე პოლიტიკური პარტიაა. მათ შორის, ჩვენზე გაცილებით დიდ, ეკონომიკურად შეუდარებლად ძლიერ ქვეყნებში სამი, ოთხი პარტიაა, რომლებიც პარლამენტში შედიან. იქ, მეტი პარტია არ არის იმიტომ, რომ საზოგადოებაში მეტი რესურსი არ არის, მერე ხდება კოალიციები, ბლოკები და ა.შ. საინტერესოა, ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება. ისინი ჩვენსავით საბჭოთა კავშირის ნაწილნი იყვნენ, მაგრამ მისი დაშლის მერე, სულ ცოტა ხანში, სკანდინავიურ ქვეყნებს — თავის მეზობლებს დაემსგავსნენ. იქ, ყოველთვის კოალიციებია, სადაც ვერასდროს ვერცერთი პარტია საკონსტიტუციო უმრავლესობას კი არა, უბრალო, უმრავლესობასაც ვერ ღებულობს და იძულებულია სხვა პარტიას გაურიგდეს, შესაბამისად, მას მთავრობაში ადგილები გაუნაწილოს, მიაღწიოს კონსესუსს, რაც დემოკრატიულ კონტროლს ბევრად უფრო აადვილებს.

— ბატონო პეტრე, მახსოვს, 2012 წელს პრეზიდენტის უფლებების გაზრდაზე საუბრობდნენ, ახლა კი პირიქით, მისი უფლებების შეზღუდვაზეა ლაპარაკი. რა ხდება?

— უაღრესად მანკიერი სისტემაა, როცა ზოგი იტყვის — გავუზარდოთ პრეზიდენტს უფლებებიო, მერე, სიო დაუბერავს და იტყვის — ახლა, შევუკვეცოთო. ჩვენს საზოგადოებაში ეს გასაკვირი არ არის. მარგველაშვილი ამ სისტემიდან შემთხვევით ამოვარდა იმის გამო, რომ თავისი პირობა, სიტყვა თვითონ დაარღვია, და შეასრულა მისი ბავშვობის მეგობრების „ნაცების", კოლექტიური ბოკერიების დავალება და კალიგულას — სააკაშვილის სასახლეში შევარდა. ამის შემდეგ, ივანიშვილს ბობოყვათის რეზიდენცია მოსთხოვა, რაზეც შესაბამისი პასუხი მიიღო. მარგველაშვილს ჰქონდა შერიგების მცდელობა, მაგრამ ივანიშვილი აღარ შეურიგდა. ამ პირადი პრობლემის გამო, მარგველაშვილი რომელსაც საერთოდ არ სცხია სახელმწიფო აზროვნების რაიმე ელემენტი, სისტემიდან ამოვარდა.

— შეიძლება კონსტიტუციაში ჩავწეროთ რაც მოგვესურვება, თუნდაც ის, რომ ევროატლანტიკური კურსის ერთგულები უნდა ვიყოთ?

— ეს არის პროვინციული მარაზმი — ადამიანები, რომელთაც სამშობლოს ნამდვილი ღალატი ჩაიდინეს, ქვეყანას ევროპისკენ რეალური სვლა ჩაუხერგეს, საკუთარი ხელით დააბრუნეს რუსეთის მძლავრი ბაზები აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში, დღეს ევროატლანტიკური კურსის მიმდევრობაზე საუბრობენ. გავიხსენოთ, რა თქვა ლინკოლ მიჩელმა: პუტინის პირადი აგენტი ვერ გაუკეთებდა საქართველოს იმას, რაც სააკაშვილმა გაუკეთაო. მისი ხროვა დღეს ბედავს თქვას, რომ თურმე, პრო-ევროპულად განწყობილნი არიან. უფრო ანტი-ევროპულნი ვიდრე სააკაშვილი და მისი ხროვაა, არსად შემხვედრია. მახსენდება, ცნობილი სიტყვები: პატრიოტიზმი ნაძირალების ბოლო თავშესაფარია. ეს ამ გუნდზეა ზედმიწევნით ნათქვამი. მაგრამ ის, რომ რომელიმე ბლოკი კონსტიტუციაში ჩაეწეროს, ეს სამარცხვინოა. ბლოკების დაშლა, სახელის შეცვლა, ხშირად, ხდება. კონსტიტუცია გაცილებით დიდ პერიოდზეა გათვლილი. ახლა, ევროგაერთიანებიდან ბრიტანეთი გადის. მსოფლიოში ცნობილი პოლიტოლოგები მსჯელობენ, დაიშლება თუ არა ამ წლებში ევროგაერთიანება. თუ დაიშლება ახალი რა შეიქმნება. რამდენი დისკუსია მოგვისმენია თემაზე: ხომ არ უნდა გარდაიქმნას ნატო და სხვა რამ შეიქმნას. ახლაც არის მოსაზრებები, რომ ევროპის სამხედრო ძალები უნდა შეიქმნას. როგორ შეიძლება ასეთი რამ კონსტიტუციაში ჩაწერო, როცა ეს ცოცხალი პროცესია, რომელიც მოცემული ვითარების შესაბამისად იცვლება. სხვა საქმეა ის, რომ ევროპულ ოჯახში ღირსეული ადგილის დაკავება გვინდა.

— ატლანტიკურ კურსზე რა რეაქცია ექნება რუსეთს? კი შეიძლება, ამის გამო და არც ვიზალიბერალიზაციის მიღებისთვის არ დაგვბომბოს, მაგრამ ნატოს გაფართოების საკითხი, რასაც დილა საღამოს გავყვირივართ, მისთვის მიუღებელ თემად რჩება.

— საშიშროება არის, თუმცა პუტინის რეჟიმის ძალიან ხისტი პოლიტიკა ჩვენს ხელისუფლებას მოქნილობის ნაკლებ საშუალებას უტოვებს. გეტყვით, რაც ვგულისხმობ: ვთქვათ, პრაგმატული კურსი გამოცხადდა, ვეცდებით, რუსეთი არ გავაღიზიანოთ, მაგრამ გარდა

6 გვ. →

ნიკა მჭავანაძე: სოროსის ხელდასხმული ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების პარპაში თუ არ აღიკვეთა, ისინი საქართველოს დაღუპავენ

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მჭავანაძე.

- პრეზიდენტმა მარგველაშვილმა თქვა, მაბრალებენ, რომ მე ვმართავ ევროსასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოსა თუ პარლამენტსო, მართალია, ეგ არავის მართავს, პირიქით, თვითონ მას მართავს მიხეილ სააკაშვილი. მარგველაშვილი არის პირწავარდნილი ნაციონალი, იმ გლობალისტური, ფსევდოლიბერალური ფრთის წარმომადგენელი, რომელიც გაბატონებულია მთელს მსოფლიოში. დააკვირდით, როდესაც გიგა ბოკერია და ნიკა მელია რაიმე განცხადებას

აკეთებენ, ხუთი წუთის შემდეგ მარგველაშვილი გამოდის იგივე ტექსტით, აშკარაა, რომ თანამოაზრეები არიან. ახლა ხალხში რომ გაიჭრება და სააკაშვილივით იქნევს ხელებს, ჰგონია, მართლა ჰყავს მხარდამჭერები. მისი 67%-იანი რეიტინგი „აირაის“ გაყალბებული მონაცემია და არა რეალობა. ამ ორგანიზაციის სურვილია აქცენტი მარგველაშვილზე გაკეთდეს, თორემ არსად გამიგია მისი პოპულარობის შესახებ. ეს კაცი არის ქვეყნის სირცხვილი, ხალხის სიყვარულზე რომ აქვს პრეტენზია, რით დაამხსოვრა თავი? ვასილ მჟავანაძე იმით ახსოვთ, რომ მისი მმართველობისას ყველა კარგად ცხოვრობდა, შევარდნაძეს უარყოფითი ბევრი ჰქონდა, მაგრამ მისი პრეზიდენტობის პერიოდში გავიდა საქართველოდან რუსული ჯარი, აღიკვეთა „მხედრიონის“ და სხვა უკანონო შეიარაღებულიEდაჯგუფებების თარეში და ა.შ. მარგველაშვილთან დაკავშირებით, ერთადერთი მის გკეკლუცობას თუ გაიხსენებენ, მრავალფეროვანი სექსი მაქვსო. ამდენი წლის განმავლობაში რა გააკეთა ღირებული? მისი „მოღვაწეობა“ მხოლოდ ვეტოების გამოყენებით შემოიფარგლება, მამამისის სახელი არ ვიცი, მაგრამ გიორგი ვეტოევიჩი ნამდვილად შეგვიძლია დავარქვათ.Mმარგველაშვილს ჰგონია, „ენჯეოს“ ხელმძღვანელია და არა ქვეყნის პრეზიდენტი, მსოფლიოში ალბათ ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც საკუთარ ქვეყნას ოპოზიციაში უდგას. რანაირად შეიძლება ხალხს იმ პრეზიდენტის მიმართ ჰქონდეს სიმპათია, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხოებას ებრძვის, ამბობს მოსმენების გასაღები უსაფრთხოების სამსახურის კი არა, კერძო სტრუქტურის დაქვემდებარებაში უნდა იყოსო. იგი ებრძვის ეროვნულ ფასეულობებს, წინააღმდეგია კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი ოჯახის შესახებ, ებრძვის პოლიციას, სამართალდამცავები ხალხს ნარკოტიკს უდებენო და მისი შვილიც ე.წ. საპროტესტო აქციებზე დარბის. ეს ე.წ. პრეზიდენტი უპირისპირდება სასამართლო სისტემას, სადაც მოსამართლეები თვითონ დანიშნა, თურმე მათ შეურაცხმყოფელი გადაწყვეტილებები მიუღიათ. სტრასბურგის სასამართლოს საწინააღმდეგოდ თურმე არაფერი უნდა ვთქვათ, ჩვენი სასამართლოების ლანძღვა კი დასაშვები ყოფილა. კაცი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეა და იმ სახელმწიფო ინსტიტუციებს ებრძვის, რომელთა კოორდინირებული მუშაობის წარმართვაც მისი ვალდებულებაა. ის არის ერთი ცრუპენტელა ადამიანი, რომელიც დარბის აქეთ-იქით, სადღაც მწვადს შეწვავს, ღვინოს დალევს, უხარია ხალხი ხელს თუ დაუქნევს, რადგან თავი ქვეყნის ლიდერი ჰგონია. რასაც ახლა მარგველაშვილი აკეთებს, თუნდაც კონსტიტუციასთან დაკავშირებით, ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დივერსია.

— **რას გულისხმობთ?**

— მას საკონსტიტუციო კომისიაში ქვოტა ჰქონდა, ოთხი თუ ხუთი წევრი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ თურმე იქ მუშაობა არ უნდა, შეხვედრებს აწყობს აქაოდა, კონსტიტუციაში თითოეული მოქალაქის უფლება უნდა იყოს ასახულიო. ხსენებულ კომისიაში თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენელია, რომლებსაც თავიანთი ამომრჩეველი ყავთ, ე.ი. ყველა მოქალაქის ინტერესია გამოხატული. სამი მილიონი ადამიანი უნდა შეიკრიბოს და კონსტიტუციაზე იმსჯელოს? კომისიაში არასამთავრობო სექტორიცაა ჩართული, მართალია, იქ ძირითადად სოროსის „ლეკვები“ შეიყვანეს, მაგრამ მაინც, მაშინ კონსტიტუციის პროექტის რა არათავისუფალ განხილვასა დახურულ სივრცეზეა საუბარი. მარგველაშვილი ძალიან სახიფათო თამაშს ეწევა, უცხოური ვოიაჟებში რომ დაიარება, იქ რას ლაპარაკობს, ესეც კაცმა არ იცის. მისი „დამსახურებაცაა“ ევროსასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლის მეშვეობითაც, ფაშისტური ტელევიზია „რუსთავი-2“ ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას. პარლამენტის თავმჯდომარემ ახლაღა გააკეთა განცხადება, ეს ე.წ. არასამთავრობოები მიკერძოებულები არიანო, არადა ერთი წელია ამას ვამბობ.

ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ, როგორც კუზიანი არ გასწორდება, ისე არ შეიცვლებიან სოროსის ხელდასხმული ანტისახელმწიფოებრივი ელემენტები. ფსევდოლიბერალთა ეს კასტა ცხრა წელი „აპრავებდა“ სააკაშვილს და ახლაც ყველაფერს აკეთებენ მის დასაბრუნებლად. ებრძვიან სახელმწიფოს უსაფრთხოებას, ეკლესიას, ეროვნულ ფასეულობებს. გამოდის ეს სოროსის მიერ ნაკვები უსირცხვილო ხუციშვილი („ღია საზოგადოება — საქართველოს“ ხელმძღვანელი) და ამბობს, მოსმენების გასაღები უსაფრთხოების სამსახურში არ უნდა იყოსო. სოროსი ჩაუდგა სათავეში კამპანია „ეს შენ გეხებასაც“, მისი ფონდიდან ფინანსდებიან. ქალბატონ ხუციშვილს ერთი ლარი არ გაუმეტებია იმ წინააღმდეგობის მოძრაობისთვის, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს იყო, ახლა გახდა დიდი უფლებადამცველი. იმის შიშით არ უნდა ჰქონდეს მოსმენების უფლება უსაფრთხოების სამსახურს, რომ ადრე უკანონოდ უსმენდნენ? მაშინ პოლიცია და ჯარიც განვაიარაღოთ, რადგან სახელისუფლებო გადატრიალების პრეცედენტები იყო. დონალდ ტრამპმა სოროსსა და მის ფონდს ანტისახელმწიფოებრივი ელემენტები უწოდა, ამ „კეთილშობილ“ ქველმოქმედს ამერიკაშიც ებრძვიან, თუმცა სოროსისთვის ტრამპი დიქტატორია. ახლახანს უნგრეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება სოროსის უნივერსიტეტთან, ანუ ფსევდოლიბერალების „სამჭედლოსთან“ დაკავშირებით, რომელიც ბუდაპეშტში ფუნქციონირებს. უცხოეთში თითქმის ყველგან ებრძვიან სოროსსა და მის დაფრთიანებულ ფსევდოლიბერალებს, ჩვენთან კი გულში იხუტებენ და სამოქალაქო სექტორის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე წარმომადგენლებს ჰყავთ გარიყული. საბედნიეროდ, ხელისუფლებამ ბოლო დროს შეცვალა ფსევდოლიბერალების მიმართ დამოკიდებულება, მათ მაინც და მაინც პრობლემები უნდა შეექმნათ, რომ ასე მომხდარიყო.

ნაციონალები და ეს ე.წ. უფლებადამცველები ღიად ვერ ამბობენ, თორემ გულში უდევთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება. უბრალოდ სიტუაცია ჯერ არ მომწიფებულა, თუმცა ყველაფერი აქეთ მიყავთ.

დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი, ფაქტობრივად ტელევიზორის პოლიტიკოსები არიან, ამათ პოლიტიკოსობა მარტო ტელეკამერების წინ კეკლუცობა ჰგონიათ.

— **რას იტყვით რუსეთისგააქტიურებაზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში?**

— რუსეთს შეუძლია უმოკლეს დროში მოახდინოს მთელი საქართველოს ოკუპაცია, დარწმუნებული იყავით, პასუხსაც ვერავინ მოთხოვს, მაგრამ რუსეთი ამას არ აკეთებს. ნუ ვცდით მათ მოთმინებას. სამაგიეროდ, ამერიკის ელჩს ვეკითხებით ყველაფერს, პოლიტიკოსები და ფსევდოლიბერალები იან კლეზე ერთ უარყოფით სიტყვას არ ამბობენ, მაგრამ ხელისუფლება ცოტა ხანში მის ლანძღვასაც დაიწყებს, მაგრამ უკვე გვიან იქნება. მაინტერესებს, რატომ ითვლება თურქეთი ჩვენს ისტორიულ მეგობრად, ხოლო რუსეთი მტრად, რომელმაც აჭარა და

6 გვ.

სოროსის ხელდასხმული ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების პარპაში თუ არ აღიკვეთა, ისინი საქართველოს დაღუპავენ

5 გვ.

სხვა ტერიტორიები დაგვიბრუნა, დაქუცმაცებული საქართველო გააერთიანა. ხომ ხედავთ მსოფლიოში რა პროცესები მიდის, რომ არა რუსეთი, მართლმადიდებლობა აღარ იარსებებდა. ვიღაცას ტყუილად აქვს იმედი, რომ რუსეთს კისერს მოუგრეხენ, თუ მართლაც დაიწყო მესამე მსოფლიო ომი, რუსეთი ამ ომიდანაც გამარჯვებული გამოვა. ჩვენ გვიჯობს რუსეთის წინააღმდეგ განცხადებების კეთებას თავი დავანებოთ, გავჩუმდეთ და არავისი მხარე არ დავიჭიროთ. რასაც ჩვენ ახლა ვაკეთებთ, მარტო მტრის წისქვილზე წყლის დასხმა კი არა, ჩვენი უსაფრთხოებისთვის ლახვარის ჩაცემაა. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარება ნატო-ნატოს ძახილის შედეგია, საერთოდაც, რუსეთის ჩვენთან დაპირისპირება ამ ნატოს ძახილის გამო დაიწყო. მე გული იმაზე მტკივა, რომ შევარდნაძის მმართველობისას ფედერაციაზე გვეხვეწებოდნენ აფხაზები და ოსები, მაგრამ ვიუკადრისეთ, საკაშვილის დროს რაღაც კონფედერაციაზე იყო საუბარი, მაშინაც უარი ვთქვით, ახლა ყველაფერი სანატრელი გაგვიხდა. მე მართლა მეგონა, რომ „ქართულ ოცნების“ მთავარი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იყო, საქმე ისე მიდის, რომ ვშიშობ რა ტერიტორიებიც შეგვრჩა ისიც არ დავკარგოთ. აგერ ის ანტისახელმწიფოებრივი ელემენტი (მისი გვარი არ მახსოვს) ამბობს, 12.000 ხელმოწერა შევაგროვე, ბათუმში მეჩეთი ავაშენოთო. ვფიქრობ, ხელისუფლებამ იქით უნდა აიღოს გეზი, საიდანაც მეტი პერსპექტივა გვაქვს. ჩვენს გარშემო ყველა ქვეყანა ცდილობს რუსეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს, ერთადერთი ჩვენ ვერ ვისწავლეთ ჭკუა. ქვეყანაში, რომელსაც ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი ტელევიზიები „მარიხუანას“ დეკრიმინალიზაციაზე, სექსუალური უმცირესობის უფლებებზე, თამბაქოს მოწევის აკრძალვაზე და რაღაც ასეთ სისულელეებზე ლაპარაკობენ. მთელი ქვეყანა ასი „ცისფერის“ ჭკუაზე დადის.

სოდომ-გომორის დაკანონებაზეა უკვე საუბარი. ვიღაცას ნუ ჰგონია, რომ კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიციის შეტანით ქულებს ჩაიწერენ, ეს არ კმარა. ისე, კაცმა არ იცის შეიტანენ თუ არა, მაგალითად, ვენეციის კომისია ამ დეფინიციის შეტანის წინააღმდეგია. ხელისუფლება მერე იტყვის, ჩვენ გვინდოდა, მაგრამ კომისია წინააღმდეგიაო.

— რატომ არის ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შესრულება ჩვენთვის სავალდებულო?

— ევროპის ქვეყნების ნახევარში კონსტიტუციაშია ჩაწერილი ოჯახის დეფინიცია, ყველა თავისებურად ირჩევს. ეს არ არის დემოკრატიული საკითხი, ამიტომ ვენეციის კომისიას არავინ ეკითხება, ეს ჩვენი შიდა საქმეა. ხელისუფლებამ თუ გვითხრა, ვენეციის კომისია ასე ითხოვს და ჩვენ რა ვქნათო, მაშინ წავიდნენ და იმ ქვეყნებში იცხოვრონ, სადაც პრეტენზია არ აქვთ კონსტიტუციაში რა ეწერება. ქართველი ხალხის ნებაა, კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ოჯახი ქალის და მამაკაცის ურთიერთობაა. როგორც ვატყობ, სადღაც 50 წლის შემდეგ ჩვენმა საზოგადოებამ შეიძლება მართლაც თქვას, დაკანონდეს ერთსქესიანთა ქორწინებაო, იმიტომ, რომ თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ფსევდოლიბერალები კითხულობენ ლექციებს, ტვინს ურეცხავენ ახალგაზრდობას, რომ ეროვნულობა არ ვარგა, აძულებენ ჩვენს ისტორიულ მეზობელ რუსეთს და ა.შ. ლევან ბერძენიშვილის სტუდენტებთან შეშვება იგივეა, მელა რომ შეუშვა საქათმეში, ლექციები წააკითხო კი არა, ქვეყანაში გასაჩერებელი არ არის. ასეთი ანტისახელმწიფოებრივი ელემენტებით არის დაკომპლექტებული ყველა უნივერსიტეტი. ტყუილად არ დაძრწის მარგველაშვილი უნივერსიტეტებში, სამომავლოდ მუხტს აღვივებს, რომ სტუდენტობა ქუჩაში გამოვიდეს. ახალგაზრდობა ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, იგივე ეროვნული მოძრაობის დროს სტუდენტობამ შეასრულა გადამწყვეტი როლი. იმიტომ დადის ახლა მარგველაშვილი სტუდენტებთან და რაღაც სისულელეებს ელაპარაკება, დროა ჯეჯელავამ „კომბლე“ გვერდზე გადადოს და განათლების სისტემას მიხედოს. მამა თეოდორე გიგნაძეს უფლება არ მისცეს, რომ კვირაში ერთხელ უფასოდ ჩაეტარებინა ლექცია ილიას უნივერსიტეტში, სამაგიეროდ, „მწერალი“ დეისაძე, ლევან ბერძენიშვილები და მათნაირები კითხულობენ ლექციებს. იგივე კახა ბენდუქიძისა და გიული ალასანიას უნივერსიტეტებში ნორმალური აზროვნების ახალგაზრდები გაიზრდებიან. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ პატივს ვცემ იმ კუთხით, რომ მან თავისი ადგილი მიუჩინა ფსევდოლიბერალებს, იმიტომ, რომ ისინი თურქეთის მტრები არიან. ერდოღანი თავისი ხალხისთვის კარგს აკეთებს, ასე უნდა მოიქცეს ჩვენი ხელისუფლებაც, აქაურ ფსევდოლიბერალებს, სოროსის „ლეკვებს“ თავისი ადგილი უნდა მიუჩინონ, შეიძლება სალომე ასათიანს ვაფინანსებდეთ, რომლის ბილბორდებითაცაა გამოტენილი ქალაქი. ირმა სოხაძე არც მომღერლად ვარგოდა, მთელი ცხოვრება წითელი ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო, ვერ გავიგე რა დამსახურება აქვს ამ ქალს ქართველი ხალხის წინაშე, რომ ჯერ თვითონ ჩასვეს სახელმწიფო ტელევიზიის ბორდში, მერე თავისი შვილიც მიიყვანა, რომელიც ამბობს აჭარაში მუსლიმების უფლებები ირღვევაო. სანამ ჩვენი ხელისუფლება გაიღვიძებს, თანდათანობით ვკარგავთ ქვეყანას, ძალიან კარგია ირაკლი კობახიძე რა განცხადებებსაც აკეთებს, მაგრამ ნელნელა ეს განცხადებეი ფასს დაკარგავს, რადგან ჩავლილი იქნება მატარებელი და ხალხი აღარ დაუდგება ამათ გვერდით.

ეს შენ გეხება
ეს შენ გეხება
ეს შენ გეხება
ეს შენ
ეს შენ
ეს შენ

ადამიანს უკვე მიეცა უფრო მეტი, ვიდრე ის ითხოვს – უფალი, რომელიც მისი გადარჩენისთვის ეწამა

სიტყვა „ეზოთერიკა“ ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად შინაგანს ნიშნავს. ამ სიტყვას აგრეთვე ვხვდებით „დაფარულის“, „იდუმალის“ მნიშვნელობითაც. ეზოთერიკის გაგება სხვადასხვა რელიგიურ სისტემასა თუ ადამიანის სულთან დაკავშირებულ მეცნიერულ დარგებში არაერთგვაროვანია, მაგრამ მაინც შესაძლებელია მისი საერთო საწყისების დადგენა, რომელთა შესახებ ცოდნა საუკუნეთა წიაღში იკარგება. საინტერესოა ზოგიერთი აღმოსავლური რელიგიის სწავლება, რომლებიც ნებისმიერ ემოციურ მუხტს განიხილავენ, როგორც ენერგეტიკულ სუბსტანციას, ფსიქოემოციურ ძალას, რომელიც ქმნის შესაბამის ლოკალურ და ზოგ შემთხვევაში გლობალურ სულიერ გრავიტაციებს. ესაა ერთგვარი ქარიზმა რომელიც თავად იზიდავს საგნებსა და მოვლენებს, აგრეთვე უეჭველ ბრძანებებს უგზავნის როგორც მაკრო ასევე მიკრო სამყაროს, გადაეწყოს პიროვნების სულიერი აქცენტის შესაბამისად.

სისტემის უმთავრესი პრინციპების დამფუძნებელი, პატანჯალი, წიგნში, „რაჯა–იოგა“, საკუთარი „ეგოს“ სამყაროზე დაუფლების ფორმულებს იძლევა. იგი ამბობს: –მნებავს და ხდება, განვეწყობი და ვიზიდავ (განწყობის ძალით იოგებს საგანთა დემატერიალიზება, ანუ დაშლა რაიმე ენერგეტიკულ ველად და რემატერიალიზებაც ძალუძთ). ცნობილია რომ პატანჯალიმ ეს სწავლება აიღო და დახვეწა უძველესი დროის უპანიშადებიდან... ხილული და უხილავი სამყარო შედედებული ემოციური ველია. იგი აზრითა და ემოციით იმართება, როგორც ორი სულიერი ხელით. ემოციების კონტროლით შესაძლებელია პიროვნებამ გამოძერწოს საკუთარი ცხოვრება და ობიექტური გარემოც კი ისეთად როგორიც თვითონ ნებავს. ეს საიდუმლო ყოველთვის არსებობდა, მას სამყაროს უმხელდნენ, მას მალავდნენ, მას კარგავდნენ და კვლავ პოულობდნენ, მასზე ნადირობდნენ, მის გაგებას ცდილობდნენ ყოველნაირი ძალებითა და საშუალებებით. და აი დადგა მომენტი, როდესაც ეს საიდუმლო კვლავ გაიხსნება სამყაროს წინაშე. ამ ცოდნას ფლობდა წარსულის უამრავი დიდი ადამიანი: პლატონი, ლეონარდო, გალილეი, ნაპოლეონი, ლინკოლნი, ეინშტეინი, კარნეგი და სხვა. ის ნაწილ-ნაწილ ჩნდებოდა ლიტერატურაში, ფილოსოფიურ ტრაქტატებსა და სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებში. პირველად ისტორიაში ყველა ეს ფრაგმენტი შეერთებულია ამ საოცარ გზავნილში, რომელიც ძირფესვიანად ცვლის მათ ცხოვრებას, ვინც მას შეეხება... როგორ განვმარტოთ ეს საიდუმლო? მსოფლიო კანონი ზუსტია და სრულყოფილი, სულ ორი სიტყვისაგან შედგება: -მიზიდულობის კანონი... აზრი და ემოცია თავად მატერიაა, ამიტომ რასაც ჩაიფიქრებ და განიცდი, ის უკვე პროცესშია, ვიდრე თავად არ უარყოფ მას...



აღმოჩნდა რომ მითი ალადინისა და ჯინის შესახებ მთლად ზღაპარი არაა. სწავლებას „ჯინის“, იგივე „ჯაინას“ შესახებ, რაც სანსკრიტ ენაზე „უეჭველ შემსრულებელს“, აგრეთვე „დაუმარცხებელს“ ნიშნავს. ჯაინიზმის ფუძემდებლად ითვლება ჩანდრა-გუპტას სამეფოს უფლისწული და კშატრია ჯინო ვარდჰამანა მაჰავირა. ამ მოძღვრებაში, რომელიც მეტადრე ვეგეტარიანელთა ერთერთ ფსიქოდისციპლინას უფრო მიეკუთვნება, ჯინი იგივე „ჯაინა“, როგორც მისი სპარსულ-არაბული ორეული, არც კეთილია და არც ბოროტი, ის ისეთივეა როგორიც მისი მბრძანებელი პერსონა. მაგრამ აქ საინტერესო ისაა, რომ მაჰავირას „ჯინი“, ლამპადის მკვიდრი ჯინისაგან განსხვავებით, ადამიანის სულის უძინარი ტრანსცედენციაა, მისი ერთ–ერთი უმთავრესი სწავლება ასეთია: -თუ გიხარია მიიზიდავ კიდევ მეტ სიხარულს. თუ შეგეშინდა ან განრისხდი სამყარო დაგიჯერებს და გადაეწყობა ასეთად. ბედნიერნი არიან ისინი ვინც უყვართ და ვისაც უყვარს რადგან არასოდეს დაელევათ ეს განცდა...საკვირველია, რომ ამ მოძღვრებამ ვერ მიაკვლია სიყვარულის მქადაგებელ ღმერთს და დარჩა „ამა სოფლის მბრძანებლის“-ჯაინასამარა, თუმცაღა შეიძლება სახარების მოწოდებისაებრ ამ სწავლებიდან ავიღოთ სასარგებლოც ანუ „ისხენით თავისა თქვენისა მეგობარნი მამონასაგან“ ნებელობისა და აქტიური მოლოდინის სინთეზის შედეგიანი ფაქტებით სავსეა თვით მედიცინის სფეროც, ცნობილია უამრავი ფაქტი, როდესაც ექიმმა უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილ ავადმყოფს, ავტომატური რწმენის გასაღვივებლად, ვითომ წამლის დეფიციტის მიზეზით, საკმაოდ სოლიდური თანხა გადაახდევინა და დადებითმა შედეგმაც არ დააყოვნა. სულიერი განწყობისა და შესაბამისი შედეგის თანხვედრაზე უამრავი მაგალითი მოჰყავს განწყობის ფსიქოლოგიის მამას დიმიტრი უზნაძესაც. არსებობენ ნახევრადსამედიცინო ფსიქოთერაპიული ოკულტური მიმდინარეობები, რომლებიც სულიერ გაკვეთილებს (ფიზიკური მოძრაობებიდან და ჟესტიკულაციიდან დაწყებული, დამთავრებული მედიტაციებით) ღებულობენ ისეთი მიმდინარეობებიდან, როგორიცაა იოგა, სუტრა-ლოტოსი, ფენშუი, თაი–ძი, სინ-სინ-ტაიცი და მისთ. მათ იყენებენ არა მარტო სულისა და სხეულის გასაჯანსაღებლად, არამედ ეკონომიური და სოციოლოგიური თვალსაზრისითაც კი. პოზიტიური განწყობის შესანარჩუნებლად ოკულტისტები სხვადასხვა სახის ბუნებრივ და ხელოვნურ ფსიქოტრონულ საშუალებებსაც მიმართავენ. ფლობენ იშვიათ ძვირფას თვლებსა და ნივთებს, რომელთა თვისებებიც ზედმიწევნით კარგად იციან. მოიპოვებენ რელიგიურ და ისტორიულ „არტეფაქრებს“. მოკლედ მიმართავენ ყველას და ყველაფერს გარდა შემოქმედისადმი ერთგულებისა...

ქართული საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველოა კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანი. სინამდვილეში ამირანის მითში გრანდიოზული მაშტაბების მისტერიაა ტაბუდადებული. ესაა ცოდნა რომელიც ხსნის ბაბილონის გოდოლთან დაკავშირებულ იდუმალებით მოცულ მოვლენებს.

ბიბლია გვეუბნება: რომ იმდროინელ კაცობრიობა ფლობდა ცოდნას, რომლის მიხედვითაც, საერთო ფსიქო-ემოციური ველის შექმნით მიაღწევდნენ ნებისმიერ საწადელს, რომ არა ენათა აღრევა. ხოლო ღმერთმა, ეს სულიერი „ატლანტი“, „ამარ ანდარე ჯეჰან“, დაბა უბრალო ხის ძელით, ისე როგორც ამირანის მითში. მაშინდელმა კაცთა მოდგმამ, როგორც თითქმის ყველა ძველი აღთქმის გამოცხადებისას, წინასწარ იხილა ხის ჯვარზე მიმსჭვალული, ძე–კაცისა, მათივე შემოქმედი. რამოდენიმე აპოკრიფი მოგვითხრობს, რომ ამ პროცესს „თანაეწამებოდა“ ანგელოზთა გუნდი, რომლებიც უფლის თავგანწირვის შესახებ ქადაგებდნენ კაცთა წინაშე, ყოველივე ეს, არა თუ ენათა აღრევას, არამედ სხვადასხვა სახის გონებრივ და სულიერ სტრესებსაც გამოიწვევდა, რომც არ გავითვალისწინოთ შემოქმედის უშუალო ჩარევა და ის სამყაროსეული თავზარდამცემი სტიქიური და გრავიტაციული ძვრები, რაც ღმრთის გარდამოსვლას თან ერთვოდა. უფლის ჯვარი და საღმრთო თავდადება დროდადრო თავს ახსენებს „ამირან დარეჯანის-ძეს“, და ახალი ძალით ამრთელებს წუთისოფლის „ყურშას“, „უსჯულოების საიდუმლოს“ მიერ გაღრნილ, მილევამდე მისულ რკინის ბორკილებს, რათა არ აღსრულდეს ამა სოფლის ზრახვა, რომელიც „ბოროტსა ზედა დგას“ ეს ყოველივე მითის გვიანდელი ვერსიის მიხედვით ხდება „დიდ ხუთშაბათს“, ქრისტეს პყრობილების ჟამს...

ადამიანის სულიერი განწყობის უცდომელი მესაჭე საღმრთო მადლია და არა ის, რის შესახებაც რონდა ბერნის „სახარება“ გვიამბობს. ის კაცობრიობას ხელახლა სთავაზობს „ჯადოსნურ ჯოხს“, გნებავთ „ფილოსოფიურ ქვას“, გონისა და მატერიის სინთეზს, მაშინ როდესაც ადამიანს უკვე მიეცა უფრო მეტი – ადამის მოდგმის გადარჩენისათვის თავგანწირული, განსხეულებული ღმერთი, უფალი იესო ქრისტე. თავგანწირვაზე უფრო დიდი სიყვარულის გამოვლინება არ არსებობს! -ამბობს წმინდა წერილი, ამიტომ ქრისტეს ჯვარცმის უარყოფა უმადურების ყველაზე საშინელი ფორმაა და ადვილი წარმოსადგენია თუ რა ფსიქოფიზიკური ძვრები შეიძლება გამოიწვიოს სამყაროში უგულობის გარშემო გამთლიანებულმა გონებამ და სულმა ერთად, ანუ უღვთო აზრის, მოლოდინისა და ნებელობის სინთეზმა. სწორედ ასეთი იქნება ანტიქრისტე, მას შეეძლება ყველაფერი, მოყვასისათვის თავგანწირვის გარდა.

და ბოლოს ვახტანგ გორგასლის ანდერძი: „სდეგით მტკიცეთ და შეურყევლად სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდით სიკვდილსა ქრისტესათვის, რათა წარუვალი დიდება ჰპოვოთ“ ამინ!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ააფეთქებს თუ არა „ბომბების დედის“ აფეთქება მსოფლიოს მომავალს?

თვითაღიარებული ე. წ. „ისლამური სახელმწიფოს“ საბოლოოდ დამარცხების იმედი აშშ-ში დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ გაჩნდა. მისი წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი სწორედ იგილის დამარცხება გახლდათ. აშშ-ისა და რუსეთის სამხედრო მხარეებმა გარკვეული შეთანხმებაც დადეს, რომ საერთო ძალით შეებრძოლებოდნენ ტერორიზმს. სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის ხელისუფლებიდან ჩამოცილება, რომელსაც დაჟინებით ითხოვენ იქაური ე. წ. ოპოზიცია და დასავლეთი, დღის წესრიგიდან მოიხსნებოდა. ამასთან, ტრამპმა ინაუგურაციაზე განაცხადა, რომ აშშ აღარ ჩაერეოდა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში.

მსოფლიო საზოგადოებისთვის მოულოდნელი იყო აშშ-ის მხრიდან 7 აპრილს სირიის სამთავრობო ჯარების სამხედრო აეროდრომის ფრთოსანი რაკეტებით დაბომბვა. ტრამპმა შეტევის გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როდესაც ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით ჩინეთის ლიდერი სი ძინპინი იმყოფებოდა. საინტერესოა ის გარემოება, რომ ტრამპმა თავის ჩინელ კოლეგას შეტევის განხორციელების შესახებ ოფიციალური სადილობის დროს, როდესაც დესერტად შოკოლადის ტორტი მიართვეს, სწორედ მაშინ აცნობა. ამ ფაქტს მოგვიანებით ექსპერტები ნართაულ მუქარად შეაფასებენ. თუმცა სი ძინპინს არანაირი რეაქცია არ ჰქონია და არც კომენტარი გაუკეთებია, ჩინური ტრადიციებიდან გამომდინარე, მოგვიანებით ჩინურმა მხარემ საკმაოდ მკვეთრი განცხადება გააკეთა, განსაკუთრებული შეშფოთება აშშ-ის სამხედრო გემების ყვითელ ზღვაში გაგზავნის შესახებ გამოთქვეს.

სირიის სამხედრო დაბომვის მიზეზად აშშ-ის მხარემ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენება დაასახელეა, რომელსაც 80-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის, ბავშვები ემსხვერპლნენ. ჩვენთვის ნამდვილად ძნელია, დაბეჯითებით ვთქვათ, სინამდვილეში მოხდა თუ არა მსგავსი ინციდენტი, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ექსპერტებს არ სჯერათ, რომ რეალურად მოხდა მომწამვლელი ქიმიური იარაღის გამოყენება.

დავიწყოთ იმით, რომ 2013 წლიდან 2015 წლამდე მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის (მათ შორის, აშშ-ისა და რუსეთის) დაჟინებული მოთხოვნით და მონაწილეობით, სრულიად გამოიტანეს სირიიდან ქიმიური იარაღი. ფაქტი რამდენჯერმე სიამაყით დაადასტურა სახელმწიფო დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ჯონ კერიმ. აქედან გამომდინარე, აცხადებენ ექსპერტები (მათ შორის თვით ამერიკელებიც), რომ ასადის ჯარებს ფიზიკურად არ შეიძლება ჰქონოდათ ქიმიური იარაღიო. თავად ასადმა განაცხადა: „როდესაც გვქონდა ტერორისტების წინააღმდეგაც არ გამოგვიყენებია, ახლა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ როგორ გამოვიყენებდით, როდესაც არ გაგვაჩნიაო“.

ისრაელის მაღალჩინოსანი სამხედრო იაკობ კიდმი აღნიშნავს, რომ ქიმიური იარაღის ჰაერში გაფრქვევა ხდება და არა ბომბებით აფეთქებითო. ამასთან, ყურადღებას ამახვილებს გავრცელებულ ვიდეოკადრებზე, სადაც ჩანს, რომ ვოლონტიორები დაზარალებულებს დამცავი საშუალებების გარეშე ეხმარებიან. სამხედრო ექსპერტის განცხადებით, ასეთ შემთხვევაში ისინიც დაიხოცებოდნენო. მოკლედ რომ ვთქვათ, გაურკვეველია, მართლა იყო თუ არა ასადის ჯარების მიერ განხორციელებული ქიმიური შეტევა.

უცხოელი სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, რომ ქიმიური იარაღი, ადვილი შესაძლებელია, ტერორისტებს ჰქონოდათ, მათი ბაზების და იარაღის საწყობების დაბომბვის შემდეგ გაჟონა აირმაო. თუმცა დაველოდოთ გამოძიების შედეგებს, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები აწარმოებენ.

სირიის სამთავრობო სამხედრო აეროდრომის დაბომბვამ განსაკუთრებით რუსეთი და ირანის მხარეები გააღიზიანა, რომელთა ოფიციალურმა პირებმა საკმაოდ მკვეთრი განცხადებებიც გააკეთეს. შეტევიდან რამდენიმე დღეში მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით აშშ-ის ახლანდელი სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი ჩავიდა. რუს კოლეგასთან, სერგეი ლავროვთან შეხვედრა ხუთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. დიალოგის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ტრადიციულად ზოგადი ფრაზებით ისაუბრეს. თუმცა ლავროვმა პირდაპირ თქვა, არასასურველი მთავრობების ძალადობრივმა დამხობებმა რა მოუტანა მსოფლიოს, მაგალითები ბევრი გვაქვსო.

ტილერსონის შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან პუტინთან იქნებოდა თუ არა, ბოლო წუთამდე გაურკვეველი იყო. შეხვედრა შედგა და ორ საათს გაგრძელდა, რომელზეც არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. ექსპერტების ვარაუდით, თუ ტილერსონი ულტიმატუმით იქნებოდა ჩასული, ამ შემთხვევაში პუტინთან აუდიენცია არ შედგებოდა, რადგან შეხვდა, მოლაპარაკებების, ორმხრივი დიალოგის გაგრძელება შესაძლებელია.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ტილერსონის მოსკოვში ვიზიტამდე დიდი შვიდეულის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართა. დიდი ბრიტანეთის მინისტრმა ბორის ჯონსონმა დააყენა საკითხი რუსეთისთვის გაემკაცრებინათ სანქციები, მაგრამ მისი წინადადება ყველამ უარყო.

მაინც, რა გახდა სირიაზე შეტევის მიზეზი, ანალიტიკოსების მსჯელობის საგნად დღემდე რჩება. პოლიტოლოგების განცხადებით, საშინაო პოლიტიკაში განცდილი წარუმატებლობების

შემდეგ ტრამპს პრესტიჟის ამაღლება სჭირ-დებოდა, ამიტომაც განახორციელა სირიაზე შეტევა და ყვითელ ზღვაში გააგზავნა ავიამზიდიო. ამით მართლაც მოიგო შინაურ მოწინააღმდეგეთა, განსაკუთრებით ე. წ. „ქორების“ გული, რომელთა ქებაც დაიმსახურა.

პოლიტოლოგები და სამხედრო ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ აშშ-ის მხარე დღემდე შეშფოთებულია რუსეთის წარმატებული ოპერაციით სირიაში. განსაკუთრებით კი ორი წლის წინ კასპიის ზღვიდან ტერორისტების ობიექტებზე ზუსტი სარაკეტო დარტყმები აღელვებთ. პენტაგონისთვის ამაღელვებელია, აგრეთვე, რუსეთის ავიაციის მიერ იმავე პერიოდში განადგურებული ტერორისტების თავშესაფარი ბუნკერი, რომლის დანგრევა თითქმის შეუძლებლად მიაჩნდათ. ამიტომაც დასჭირდათ, ეჩვენებინათ საკუთარი სამხედრო სიძლიერე და ფრთოსანი რაკეტებით დაბომბეს სირია, ავღანეთშიც გამოიყენეს არაბირთვული ბომბი და ტერორისტებს ბუნკერები გაუნადგურეს.

თუმცა სირიაში განხორციელებული ოპერცია სამხედრო ექსპერტებს წარმატებულად არ მიაჩნიათ. ხმელთაშუა ზღვიდან სირიისკენ 64 ფრთოსანი რაკეტის გაშვება იგეგმებოდა. ოპერაციის დაწყებისთანავე 5 „ტომაჰავკი“ ვერ გაუშვეს ტექნიკური მიზეზების გამო. დანარჩენი 59 რაკეტიდან მიზნამდე მხოლოდ 23-მა მიაღწია, დანარჩენ 36-ს დღემდე ეძებენო, აცხადებენ სპეციალისტები. აღსანიშნავია, რომ ერთი „ტომაჰავკის“ რაკეტა 1-1,2 მილიონი დოლარი ღირს... ამასთან, ვერც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს აღნიშნულ აეროდრომს, რომელიც 24 საათში აღადგინეს.

ამასობაში აშშ-ის ფლოტი მიუახლოვდა კორეის ნახევარკუნძულს. თუმცა, ამერიკის ადმინისტრაციის განცხადებით, ჩრდილოეთ კორეაზე შეტევას ჯერჯერობით არ გეგმავენ. რა მოხდება მომავალში, როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია. ჩვენთვის, საქართველოსთვის, მთავარია, იმ კოზაკის როლში არ აღმოვჩდეთ, რომელიც აქლემების ჩხუბს შეეწირა. რადგან დიდი, ძლიერი ქვეყნები თავიანთ ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებს არ განახორციელებენ, ერთმანეთთან დაპირისპირებისთვის მესამე ქვეყნებს გამოიყენებენ. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ საერთო ენის გამონახვას შეძლებენ, რაც ტილერსონის მოსკოვურმა ვიზიტმაც დაგვანახა.

გია ბურდული
551 71 27 07

სააღდგომო ტრადიციები საქართველოსა და მსოფლიოში

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მართლმადიდებლები აღდგომას სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ, თუმცა, წითლად შეღებილი კვერცხი ყველგან სააღდგომო სუფრის მთავარი და აუცილებელი ატრიბუტია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე, სანამ საქართველოში პასკის ცხობის ტრადიცია დამკვიდრდებოდა, ჩვენში სააღდგომოდ ქადების ცხობა იყო მიღებული. პასკა სიმბოლურად გოლგოთას მთას განასახიერებს, რომელზეც ქრისტე ეწამა.

ქრისტიანისთვის ყველაზე მძიმე დღე იესოს ჯვარცმის დღე - წითელი პარასკევია. სწორედ ამ დღეს იღებება კვერცხი წითლად, რაც მაცხოვრის მიერ კაციობრიობის გადასარჩენად დაღვრილი სისხლის სიმბოლოა. გადმოცემის მიხედვით, მარიამ მაგდალინელმა რომის იმპერატორს ტიბერიუსს ქრისტეს აღდგომა ახარა და ძღვნად კვერცხი მიართვა. ამ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო - უთხრა იმპერატორმა მარიამს. სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა, რომ კვერცხმა ფერი იცვალა და სისხლისფერი გახდა, რამაც მორწმუნეებში კვერცხის შეღებვის ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი.

საქართველოში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ოდითგან ზეიმთან, ლხინთან და შეჯიბრთან ასოცირდებოდა. ქართული სამეფო კარის სააღდგომო ტრადიციების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიულ წყაროებში.

უბრალო ადამიანები დღესასწაულს უფრო მოკრძალებულად აღნიშნავდნენ, თუმცა სააღდგომო სუფრას თითქმის ყველგან ამშვენებდა მოხარშული ღორის ხორცი და მრგვლად მოხარშული დედალი, ხაჭაპურები, ნაზუქები, (გურიაში ღვეზლები) შავი ღვინო და ტკბილეული. რაც შეეხება სააღდგომო ტრადიციებს, ის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული იყო.

გურიაში აღდგომისთვის მთელი წელი ემზადებოდნენ. სპეციალურად ამ დღისთვის, ახალ ტანსაცმელს იკერავდნენ და ეკლესიაში ახლებში გამოწყობილი მიდიოდნენ.

გურიაში დღემდე არსებობს აღდგომის დღეს ლელობურთის თამაშის ტრადიცია. 16 კილოიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და თამაშიც იწყებოდა. წესების თანახმად, თამაშში მხოლოდ ადგილობრივები მონაწილეობენ და გამარჯვებულად ის გუნდი ცხადდება, რომელიც მათ მხარეს, წყლის არხამდე ბურთს გაიტანს.

ხევის მაცხოვრებლები სააღდგომო წირვის დასრულების შემდეგ, მიზანში სროლის შეჯიბრს აწყობდნენ. გამარჯვებული ჯილდოს ეკლესიას სწირავდა ან სოფლის საჭიროებას ახმარდა.

სამეგრელოში სააღდგომო წირვა შუაღამეს იწყებოდა. მანამდე კი ოჯახები განსაკუთრებულად ემზადებოდნენ: გოჭს წვავდნენ, პურებს, ხაჭაპურებს და ტკბილ კვერებს აცხობდნენ.

სვანეთში საზეიმო წირვის შემდეგ, დილას სასაფლაოზე გადიოდნენ და თან საკურთხი მიჰქონდათ. ეკლესიის მახლობლად, სოფლის საერთო მოედანზე საერთო ტრაპეზი იმართებოდა. ტრაპეზის შემდეგ კი სვანები ერთმანეთს ჭიდაობაში, დოღსა და ისრის სროლაში ეჯიბრებოდნენ.

აღდგომას საინტერესო ასპარეზობა იმართებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მშობლიურ ყაზბეგში. ახალგაზრდა მოისართა ჯგუფი სოფლის ყველა ოჯახს ჩამოივლიდა. ოჯახის წევრები წინასწარ შეღებილ სააღდგომო კვერცხებს ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ და ხმამაღლა ამბობდნენ, რომელი კვერცხი ვის სახელზე დაიდო. მოისრეები კვერცხებს ისრებს მონაცვლეობით ესროდნენ, სანამ ყველას არ გატეხდნენ.

საინტერესოა, როგორ ხვდებიან აღდგომას საქართველოს მეზობელ თუ არამეზობელ ქვეყნებში მცხოვრები მართლმადიდებლები?

ფილიპინებში ქრისტეს აღდგომას ადამიანები საკუთარი სურვილით ეკვრებიან ჯვარზე და ასე გამოხატავენ სიყვარულს მაცხოვრისადმი.

არანაკლებ უცნაური სააღდგომო ტრადიცია აქვთ ჩეხეთში. მამაკაცები ქალებს სპეციალური სააღდგომო შოლტებით სცემენ, სანაცვლოდ კი მათგან მადლიერების ნიშნად, შეღებილ კვერცხებს ან ფულს იღებენ. ზრდასრული ადამიანების შემთხვევაში, შესაძლოა, ქალებმა მადლიერება კოცნით ან რაღაც უფრო მეტით გამოხატონ..ეს ტრადიცია ქალების დასამცირებლად ან ტკივილის მისაყენებლად არ შექმნილა. პირიქით. ჩეხები დარწმუნებული არიან, რომ სააღდგომო გაშოლტვა ქალს უფრო ახალგაზრდას, ჯანმრთელს და ბედნიერს გახდის.

კვიპროსში აღდგომა მხოლოდ დღესასწაული კი არა, უსარგებლო ნივთებისგან გათავისუფლების მიზეზია. საღამოს მოზარდები ქუჩაში გადაყრილი ძველი ხის ნივთების მოსაგროვებლად გამოდიან, რომ უზარმაზარი საერთო კოცონი ააგიზგიზონ. ამ კოცონის გარშემო საყოველთაო ზეიმი და მხიარულება იმართება. კვიპროსელები შეღებილ კვერცხებს გულმოდგინედ მალავენ, რომ ბავშვებმა იპოვონ.

ბერმუდის კუნძულებზე აღდგომის დღესასწაულზე ცაში სპეციალურ სააღდგომო ფრანებს უშვებენ. ფრანების შექმნაზე, დიზაინსა და პროექტირებაზე ოსტატები რამდენიმე კვირის განმავლობაში მუშაობენ. ცაში გაშვებული ფრანები იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებას განასახიერებენ. მათ შორის საუკეთესოს მფლობელებს ჯილდოს გადასცემენ, ფრანებს კი ანადგურებენ. ტრადიციის აზრი საუკეთესო ფრანის გამოვლენაში მდგომარეობს, ამიტომ ერთი და იგივე ფრანის ცაში ორჯერ გაშვებას აზრი არა აქვს.

ფლორენციელები აღდგომის დღესასწაულს იესოს საფლავის სიახლოვეს ნაპოვნი კაჟის დახმარებით, წმინდა ცეცხლის ანთებით იწყებენ. ამის შემდეგ, წმინდა ცეცხლით ანთებენ სანთელს, რომელსაც სპეციალურ, ცხრამეტრიანი სიმაღლის კალათაში ათავსებენ და მთელ ქალაქს შემოატარებენ. უკვე 300 წელია, ფლორენციელები წმინდა სანთლის გადასატანად ერთსა და იმავე კალათას იყენებენ. მოგვიანებით, ეკლესიის სამრეკლოდან თოკმობმულ, ხელოვნურ მტრედს უშვებენ და ზარებს მთელი ქალაქის გასაგონად რეკენ. ამის შემდეგ იწყება ფეიერვერკი, რომელიც თითქმის ნახევარი საათი გრძელდება. ფლორენციელებისთვის ფეიერვერკი კარგი მოსავლისა და წარმატებული ბიზნესის სიმბოლოა.

უცნაური და დაუჯერებელი სააღდგომო ტრადიცია აქვთ ნორვეგიაში. აღდგომას ოჯახი ერთად იკრიბება და მკვლელობაზე დაწერილ წიგნს კითხულობს ან მკვლელობაზე გადაღებულ ფილმს უყურებს. ოჯახის წევრები მსჯელობენ, ვინ ჩაიდინა მკვლელობა, ვისთვისაა ის მომგებიანი და ა.შ. ეს ტრადიცია იმდენად გავრცელებულია, რომ მსხვილი ნორვეგიული ტელეარხები პროგრამების შედგენისას ცდილობენ, რომ აღდგომას ტელევიზიით მხოლოდ საიდუმლოებით მოცული კრიმინალური ისტორიები გავიდეს. ამ ტრადიციას საინტერესოდ გამოეხმაურნენ რძის მწარმოებელი კომპანიები. მათ რძის სპეციალურ შეფუთვაში დეტექტიური ისტორიები ჩააყოლეს, პრინციპით - დაისხი რძე, წაიკითხე დეტექტივის გაგრძელება.

დანიაში აღდგომის დღესასწაული უფრო ჰელოუინს წააგავს. ბავშვები იცვამენ მონსტრების ან კუდიანების კოსტიუმებს და კარდაკარ დადიან, რომ უცნობი ადამიანებისგან ტკბილეული შეაგროვონ.

ფინეთში აღდგომა ზღაპრულ დღესასწაულს ჰგავს. ფინელები აკვირდებიან, როგორი იზრდება გაზაფხულის მოახლოვებისას ბალახი. მათი ბავშვები კი ამ ბალახს შეღებილი კვერცხებით და სააღდგომო კურდღლებით რთავენ.

საფრანგეთში აღდგომის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, დათქმულ დროს, იესოს მოწამეობრივი აღსასრულისა და გლოვის ნიშნად, ყველა ეკლესიის ზარი დუმდება. მშობლები შვილებს უყვებიან, რომ ზარები რომში, პაპის სანახავად გაფრინდნენ. როცა ზარები სამშობლოში ბრუნდებიან, მათ სანტა კლაუსის მსგავსად, ბავშვებისთვის საჩუქრები, მათ შორის, შეღებილი კვერცხები და კანფეტები ჩამოაქვთ.

გაუგონარი სააღდგომო ტრადიცია აქვთ ნორვეგიელებს. აღდგომის დადგომამდე ერთი კვირით ადრე, ქვეყანაში ყველაფერი იხურება: სკოლები, სამსახურები, ბანკები, მაღაზიები.. სურსათის მაღაზიების ნაწილი მხოლოდ აღდგომის წინა დღეს იხსნება და მას დამშეული ადამიანები აწყდებიან.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საბერძნეთში, ესპანეთში, პორტუგალიასა და მექსიკაში რამდენიმე საუკუნეა, აღდგომის წინ იუდას ფიტულს წვავენ. საჯარო გასამართლების შემდეგ, ფიტულს ყელზე თოკს აცვამენ, ხეზე კიდებენ და ცეცხლს უკიდებენ. განსაკუთრებულ შემთხვევებში იუდას ფიტულის ბედი შეიძლება რომელიმე არაპოპულარული პოლიტიკოსის ფიტულმა გაიზიაროს.

ნელი თორდია
571 35 36 88

ძლიერი რეგიონები ძლიერი

ყვარელი

გამგებელი ყვარლის სოფლებში მოსახლეობას ხვდება

დაგეგმილი შეხვედრა გაიმართა საბუის თემში, სადაც ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია მზექალაშვილი სამსახურის უფროსებთან და ტერიტორიული ორგანოში გამგებლის წარმომადგენელთან, გოდერძი ჭიტაშვილთან ერთად მოსახლეობას შეხვდა, მათი პრობლემები მოისმინა და დახმარება აღუთქვა. გამგებელი ერთ-ერთ ადგილობრივს მისივე თხოვნით შინ ეწვია, რის შემდეგაც თემში შემავალი სოფლების საბუის და ალმატის ბაგა-ბაღები დაათვალიერა და ბაღების ინფრასტრუქტურის განახლების შესახებ სამომავლო გეგმები დასახა.

სოფელ გავაზში გამართულ შეხვედრაზე გავაზელები გამგებელთან პირად პრობლემებზე სასაუბროდ მივიდნენ. შემდეგ ილია მზექალაშვილი სოფლის ბაგა-ბაღს სხვადასხვა სამსახურის უფროსთან ერთად ეწვია. გამგებელმა აღნიშნა, რომ ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაობის დასაწყებად პროექტი ტენდერზეა გატანილი და სულ მალე პატარა გავაზელებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი საბავშვო ბაღი ექნებათ.

დედოფლისწყარო – საჩუქრები სათნოების სახლის ბენეფიციარებს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები სათნოების სახლს ესტუმრნენ, ბენეფიციარებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და სააღდგომო საჩუქრები გადასცეს. თავის მხრივ, ბენეფიციარებმა დედოფლისწყაროს ხელმძღვანელობას ყურადღებისა და მზრუნველობისთვის მადლობა გადაუხადეს. სააღდგომო საჩუქრები სულ 240 ბენეფიციარს გადაეცა.

ხარაგაული – ისლარისა და ჯაფაროულის გაზიფიცირება

ხარაგაულთან ახლომდებარე სოფლებში — ისლარსა და ჯაფაროულში გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყო, რომლებსაც საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დაკვეთით **STS group** ახორციელებს. ისლარში ბუნებრივი აირის გარე მაგისტრალის მოსაწყობად მიმდინარე სამუშაოებზე ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული.

პროექტი ორი თვის ვადაში, ივნისის შუა რიცხვებში დასრულდება, რაც გარე ქსელის ჩაბარებასა და ტესტირებას გულისხმობს. ისლარის პარალელურად გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ჯაფაროულშიც.

„2017 წელს ხარაგაულში ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების ფონდი 14 პროექტს დააფინანსებს. აქედან ერთი პროექტი სოფელ ნადაბურში საბავშვო ბაღის მშენებლობაა, ხოლო სხვა დანარჩენი სასოფლო გზების სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს“, — განაცხადა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ.

საქართველოს მთავრობის №569 განკარგულების საფუძველზე, ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულს 3 535 500 ლარი გამოეყო.

ჯამში, ხარაგაულში, 2017 წელს 4 040 839 ლარით აშენდება ერთი საბავშვო ბაღი და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება 27 კმ გზას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კიდევ რამდენიმე პროექტი დაფინანსდება.

გურჯაანი – კენკროვანი კულტურების საინვესტიციო შესაძლებლობები კახეთში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს კახეთის რეგიონული სამმართველოს, ამავე სამინისტროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურისა და კენკროვანი კულტურების მწარმოებელთა ასოციაციის ორგანიზებით გურჯაანში გაიმართა კონფერენცია, სადაც კახეთის რეგიონში კენკროვანი კულტურების საინვესტიციო შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე ისაუბრეს. კონფერენციას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის უფროსი თენგიზ კალანდაძე, კახეთის გუბერნატორის მოადგილე ირაკლი შიოშვილი და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი გია გერგიძე. კონფერენციის შემდეგ სტუმრებმა კოოპერატივ „ვილეს“ ჩირის საწარმო დაათვალიერეს.

ICCROM-ის ექსპერტი დუშეთში

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრს (ICCROM) შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, საქართველოს სტუმრობდა ICCROM-ის ექსპერტი და გენერალური დირექტორის მრჩეველი, პროფესორი იუკა იოკილეტო.

სამუშაო მისიის ფარგლებში ექსპერტი იმყოფებოდა დუშეთსა და თელავში. იუკა იოკილეტოს სამუშაო მისიის მიზანი საქართველოში ურბანული მემკვიდრეობის საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის შეფასება და იმ რეკომენდაციების შემუშავებაა, რომლებიც საფუძვლად დაედება საქართველოში საწვრთნელი პლატფორმის კონცეფციას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ქვეყანაში ურბანული მემკვიდრეობის საკონსერვაციო სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესებას.

დუშეთში გამართულ შეხვედრაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, ბექა ღარიბაშვილმა მუნიციპალიტეტის გამოცდილების გაზიარებისა და ზემოხსენებული რეკომენდაციების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით, ექსპერტს განხორციელებული და მიმდინარე პროექტები გააცნო, დაათვალიერებინა ქალაქის ისტორიული უბანი და ღირსშესანიშნავი ადგილები.

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი, გამგებლის პირველი მოადგილე ბექა ღარიბაშვილი, ICCROM-ის ექსპერტი და გენერალური დირექტორის მრჩეველი, პროფესორი იუკა იოკილეტო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარი სპეციალისტები, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვადასხვა სამსახურისა და ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები.

დუშეთი

ახალქალაქის ახალი ბაღი თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულში ორსართულიანი, თანამედროვე ტიპისა და ევროპული სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღის მშენებლობა თითქმის დასრულდა და იგი ახალი ინვენტარითაც აღიჭურვა.

საბავშვო ბაღი 77 აღსაზრდელზეა გათვლილი. ბაღში განთავსდება სამი ჯგუფი, რომლებსაც ექნებათ საკონცერტო დარბაზი, სამზარეულო, სველი წერტილებისთვის განკუთვნილი საერთო ოთახი და გარდერობი. შენობის შესასვლელში მოეწყობა პანდუსი და საბავშვო ბაღში შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემო შეიქნება.

ახალკახათში სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შენობის არარსებობის გამო ამ დროისთვის საბავშვო ბაღი დაქირავებულ კერძო ოჯახშია განთავსებული

ფოთის მუნიციპალიტეტში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა იწყება

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, ახალი რაიონის დასახლებაში, საბავშვო ბაღის მშენებლობა იწყება. ფოთის მერი ირაკლი კაკულია სამხრეთ კავკასიაში ლტოლვილთა დანიის საბჭოს წარმომადგენლობის დირექტორს, ვინსენტ დონტოს შეხვდა და საბავშვო ბაღის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები განიხილა.

ახალი სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობისთვის შეირჩა ტერიტორია და სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება. მშენებლობისთვის 210 000 ევროა გამოყოფილი. შენობა თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით აღიჭურვება, მოეწყობა ეზო. ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დანიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით ხორციელდება.

ახალ რაიონში ბაგა-ბაღის მშენებლობა მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით გადაწყდა.

ფოთი – ახალ სამკერვალო ქარხანაში 200 ადგილობრივი დასაქმდება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ — ფარგლებში მხარდაჭერილთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. მათ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარი კომპანია, შპს „ფელინ გლობალი“ შეემატება.

ფოთში კომპანია ახალ სამ-

საქართველოსთვის

სენაკი

კერვალო ქარხანას გახსნის, სადაც 200 ადგილობრივი დასაქმდება. ახლად აშენებულ საწარმოში კომპანია ქალისა და მამაკაცის ტანისამოსის წარმოებას შეძლებს და სამომავლოდ პროდუქციას ექსპორტზე გაიტანს. კომპანიის დამფუძნებლები არიან თურქი ინვესტორები, რომლებსაც მსგავს ინდუსტრიაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ და რამდენიმე მსხვილ კომპანიასთან წარმატებით თანამშრომლობენ.

შპს „ფელინ გლობალი“ 2017 წლის აგვისტოში გაიხსნება. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 7 440 000 ლარს შეადგენს.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირება

ამ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგებელი ალექსანდრე გრიგალავა, გამგებლის პირველ მოადგილესთან გიორგი გოროზიასთან ერთად, საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა. აღსანიშნავია, რომ ოთხი სოფლის — დიდი ჭყონის, ხუნწის, ნაგვაზაოსა და ინჩხურის მაგისტრალის გაყვანისა და დაქსელვის პროექტები მიმდინარე წელს განხორციელდება.

სენაკი — საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია ეკში

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, გამგებლის მოადგილემ ნატო ფულარიამ და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ცივზე არსებულ დაზიანებულ საავტომობილო ხიდზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

ხიდის აღსადგენად, რომელიც განთავსებულია შიდა საუბნო გზაზე, მიმდინარეობს სანაპიროს 40 მ სიგრძის გაბიონის კონსტრუქციით გამაგრება, მილხიდის მოწყობა და გზის ქვეშ გამორეცხილი ნაწილის შევსება. სამუშაოების ღირებულება 65 000 ლარს შეადგენს, სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 15 ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული.

რეაბილიტაციის დასრულების შედეგად მოსახლეობას გაუადვილდება მიმოსვლა ადმინისტრაციულ ცენტრთან.

წალენჯიხის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია

წალენჯიხის №1 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია დაიწყო. ახალ სასწავლო წელს აღსაზრდელები ახალ გარემოში შეხვდებიან. შემსყიდველია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

სამშენებლო სამუშაოების საპროექტო ღირებულებაა 330 000 ლარი. მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ ფარცვანიამ და გამგებლის მოადგილემ გიორგი ლუკავამ.

ხიდების რეაბილიტაცია ბორჯომის მუნიციპალიტეტში

დასრულდა სამუშაოები სოფელ კორტანეთში ცენტრალურ მაგისტრალთან დამაკავშირებელ საფეხმავლო ხიდზე, აგრეთვე სოფელ რველში, ბანიხევის ხიდის რეაბილიტაცია.

ორივე ობიექტზე უკვე მოეწყო ლითონის კონსტრუქციები და ჩატარდა სამღებრო სამუშაოები, შეიცვალა საფეხმავლო ნაწილი ხის შემცველი პოლიმერული მასალით.

ხიდები წლების განმავლობაში დაზიანებული იყო. აღნიშნული პრობლემის მოგვარების შემდეგ მოსახლეობა უსაფრთხოდ შეძლებს გადაადგილებას. სამუშაოები უახლოეს დღეებში დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ჩითახევშიც, სადაც სრულიად ახალი ხიდი მოეწყობა.

რუსთავის სკვერებისა და პარკების გამწვანება

რუსთავის მერიის ა(ა)იპ „უზრუნველყოფის“ სასათბურე მეურნეობაში სხვადასხვა დასახელების ყვავილების ჩითილები გამოჰყავთ, რომლებსაც გაზაფხულის დადგომასთან ერთად რუსთავის სკვერებში, პარკებსა და გამწვანების ზოლებში რგავენ.

რუსთავი

„მივალ გურიაში, მარა...“

გურიაში ახლაც ჩვეულებრივი აღდგომა დადგა.

დილიდანვე იყო ერთი ალიაქოთი. ოჯახებიდან სასაფლაოს მიმართულებით დაიძრა ხალხი. განსაკუთრებით ასაკოვნები. ვალერი ახალგაზრდაა და ამბობს: პატრიარქმა თქვა, ჭკვიანმა ხალხმა თქვეს, ორშაბათს გადით სასაფლაოზეო, აბდალი ვარ? რატომ წავალ კვირას?! ორშაბათს წავალ.

გურულები მაინც კვირას მიდიან და რომ დაფიქრდე, არის ფილოსოფიური სიბრძნე ამაში...

უფალი სამი დღის შემდეგ ხომ სწორედ კვირას აღსდგა. მენელსაცხებლე დედებმა ხომ კვირას იხილეს ცარიელი საფლავი. ხოდა, გურულებსაც ასე სწამთ, რომ მიცვალებულთა აღდგომა სწორედ აღდგომის დღეს, ანუ კვირას მოხდება და თავიანთ მიცვალებულებს იმ რწმენით აკითხავენ, რომ გაიხსნება საფლავები და იქედან ელოდება.

— ქრისტე აღსდგა, შოთა! — ეუბნება მგზავრი.

— დაჯექი, ბიძია, მაქანე, შენ გგონია, მარტო შენ იცი მაი ამბავი? ეგ რომ გიკვირს, ე, შეხედე, ხეი დეიარება, ამას მევესწარით, — ამბობს შოთა და დენდროპარკში გადასატანად გამზადებული ხეებისკენ გვახედებს. ხეები, როგორც შოთა ამბობს, „საგარიოდაა გამოწყობილი“ — რამდენიმე მეტრზე გარშემო მიწიანად ტრანსპორტს უცდის, რომ გადაიტანონ.

გზაზე რამდენიმე ასეთი ხე გვხვდება.

ამ მოსიარულე ხეების წყალობით, მთელმა მსოფლიომ გაიცნო გურია, ბი-ბი-სი ლაპარაკობს ჩვენზეო, უხარიათ გურულებს და იქვე საყვედურსაც ამბობენ: სოციალური დახმარებები მოგვიხსნეს, პენსიას არ გვიმატებენ, მაჟორიტარი დეპუტატი იმის მაგივრად, რომ

უხრწნელი მიცველებულები წამოდგებიან. დიდი ხნის უნახავს კი სხვანაირი დახვედრა სჭირდება — პურმარილი, წითელი კვერცხი, ღვინო და ა.შ. მიაქვთ, აწყობენ საფლავის სიახლოვეს, ელოდებიან, რომ მიცვალებული წამოდგება და ბოლოს, იმედს რომ გადაიწურავენ, იწყებენ ჭამა-სმას და ღრიანცელს, იქნება, ასე მაინც „გააღვიძონ“ ამჯერადაც რატომღაც არამდგარი მიცვალებულები. ღვინოსაც აშხეფებენ, კვერცხსაც უგორებენ...

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ აღდგომასაც ის მოხდა, რაც საუკუნეების წინ.

არც ახლა გაიღვიძა მიცვალებულმა, თუმცა მაინც ზეიმია გურიაში.

დღეს მუშაობა არ შეიძლებაო და ყველა ერთობა მარშუტკის მძღოლი შოთიკოს გარდა.

— აბა, ხალხი ფეხით ხომ ვერ წავა ოზურგეთში? — ამბობს შოთიკო და მგზავრებს ჩვენს ამბავს კითხულობდეს, გერმანიაში ყოფილა ახლა, ლიჟებზე ფეხი მოუტეხავს და იქ მკურნალობსო...

კიდევ ბევრი ამბავი გაარჩიეს მგზავრებმა ოზურგეთში ჩასვლამდე, მაგრამ მათ წვრილად მოყოლას აღარ გავაგრძელებ, დღესასწაულია მაინც და სანამ კიდევ გვეზეიმება, ვიზეიმოთ, თორემ ისეთი პირი უჩანს, გურულები ნაციონალებს ხომ წყევლიან და აგინებენ, არც ახლანდელ მთავრობას დააკლებენ კრიტიკას, რამე თუ არ შეიცვალა...

იმედი ბოლოს კვდებაო და სანამ კიდევ რაიმეს იმედი აქვს ხალხს, ეს იმედი არ უნდა გაუცრუვდეთ...

ახლა ბრწყინვალე შვიდეულია.

გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს!

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

ანა ვადაჭკორია

ბუბა ხოტივარი:

მაშინ, მეორე საუკუნეში...

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

ფილმის წარმოება გაჩერდა. ან ფილმი ვიღას ახსოვდა. კინოს ხსენებაზე ტანში მზარავდა. ტელევიზორსაც ვეღარ ვუყურებდი... ამ მდგომარეობიდან ისევ რეზო ჩხეიძემ გამომიყვანა. შეხვედრისას პირდაპირ მითხრა:

- რას უდგეხარ, ამოქმედდი, ფილმი შენ უნდა გააგრძელო. ამ სურათის შეწყვეტა დანაშაული იქნება. შემოდი, გეგმა დავსახოთ...

გაოცებისგან, მახსოვს, კედელს მივეყრდენი და იატაკს დავაშტერდი. მას ორი მუშა გულმოდგინედ ფხეკდა. ეს ხდებოდა ტელეფილმების მესამე სართულზე, დიდ ჰოლში. რეზომ თავისი ოთახის კარები შეაღო და წყნარად გამიმეორა:

- შემოდი.

ბუბა ხოტივარი

როგორც წყალში ჩაყვინთულს, ისე მესმოდა რეზოს სიტყვები, მხოლოდ მთავარს მივხვდი: რეზოს უნდა ფილმი მე გავაგრძელო... რეზოს უნდა ფილმი მე გავაგრძელო... რეზომ მითხრა, ფილმი გააგრძელეო...

მუშამ ფეხსაცმელზე მიმაყარა ნაფხეკი: „გეიწიე, ბოშო!“ ცოტა, მგონი, გავიწიე. ისევ რეზოს ხმა მომესმა შორიდან:

- ბუბა, შემოდი აქ, ბიჭო! - ისეთი თბილი ინტონაციით მითხრა, რატომღაც გავთამამდი, და თავის აუწევლად მივაყარე:

- ბატონო რეზო, ეს შეუძლებელია, მე არ მინდა! - ვთქვი და ვიგრძენი, რომ რეზო გაიყინა. როცა ავხედე, დაუნდობელი თვალებით მიყურებდა. პაუზის შემდეგ ცივად მითხრა:

- ბუბა, შემოდი-მეთქი, აქ ვილაპარაკოთ!

ოთახში არ შევყევი და ისევ ვთქვი ჯიუტად:

- არ მინდა, ბატონო რეზო. ჯობია ვინმე გამოცდილმა რეჟისორმა დაამთავროს ფილმი...

რეზო აენთო, მაგრამ ხმა არ აუწევია:

- თავის დაფასება როდიდან დაიწყე, კაცო! და, საერთოდ, რას აწუხებ შენი თავმოყვარეობით ამ ხალხს? - ხელი ჩემს ზურგს უკან გაიშვირა, ჩაიბურტყუნა თავისთვის: - უყურე ერთი, იქით მახვეწიებს თავს! - და ბრაზით მიიხურა კარი. შემოვტრიალდი და დავინახე, რომ თითქმის მთელი სტუდია იქ იდგა! როდის შეგროვდნენ, ვერც კი გავიგე. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ორმა მუშამაც შეწყვიტა ფხეკა და ღრმად შეწუხებული მიყურებდა. სადღაც მეორე სართულის სამონტაჟოდან გაურკვევლად ისმოდა: „რა კარგი იყავ მაშინ“...

ლამარა ბოკერია, ყოველთვის ყველასგან რომ მიცავდა, ახლაც მოვიდა, ალერსიანი მოძრაობით საყელო გამისწორა და ნაწყენი თოჯინის ხმით თქვა:

- არავისთან ეს ბავშვი თავს არ იფასებს! უბრალოდ ეშინია და ჩვენ ყველა უნდა დავეხმაროთ, ფილმი უნდა გავაგრძელოთ და უდიდესი ტრიუმფით დავამთავროთ!

უცბად ყველას გაეცინა და დაძაბულობა მოიხსნა. ყველაზე მეტს, რატომღაც, იატაკზე მჯდომი მუშები კისკისებდნენ.

- რა არის აქ სასაცილო, ვერ გავიგე პირდაპირ! - გაბრაზდა ლამარა და ზურგით დამიდგა მოსალოდნელი აგრესიისგან გადასარჩენად. ხალხს ისევ გაეცინა.

რეზომ ისევ გამოიხედა. ყველა ისევ გაჩუმდა. კარლო ღლონტმა ხელი მომკიდა, რეზოს კაბინეტში შემიყვანა და კარი მოგვიხურა. რეზოს თვალებში სითბო იდგა:

- დაჯექი, ბიჭო, დაჯექი, ნუ ნერვიულობ, თქვი, რაც გადევს გულზე, გისმენ...

რეზოს თანდასწრებით მისგან განსხვავებული აზრის გამოთქმა ყოველთვის მიჭირდა, მაგრამ ამჯერად ჩემი მაინც ვუთხარი გრძელგრძელი პაუზებით:

- ხომ იცით, ბატონო რეზო, აქამდე მხატვრული ფილმი არ გადამიღია და მსახიობთან აპარატის წინ არ მიმუშავია... თანაც ფილმის მხოლოდ 25 პროცენტზე ცოტა მეტი თუა გადაღებული... როგორ გავერკვე, რა უნდოდა ქართლოსს? გამიჭირდება ფილმის გაგრძელება... ქართლოსი სცენარს ბრმად არასოდეს გაყოლია, სულ ახალ-ახალ ამბებს იგონებდა... მაგრამ ვერც ერთი ეპიზოდის ბოლომდე გადაღება ვერ მოასწრო, პირველი ორი ნოველა ოთხიდან მხოლოდ სანახევროდ არის გადაღებული, ორი ნოველა საერთოდ არც კი დაუწყია... ის ხომ ინტუიციით იღებდა, ხშირად ულოგიკოდ, სხვისთვის უაზროდ... მხოლოდ მან იცოდა როგორ გადაექცია მონტაჟის დროს ულოგიკობა ლოგიკად და უაზრობა აზრად... ამ იმპულსური მასალის დალაგება ჩემთვის შეუძლებელი იქნება...

რეზო დიდის ინტერესით აკვირდებოდა ჩემს ზურგს უკან მდგომ ჩამქრალი ტელევიზორის ეკრანს. შემდეგ მთაწმინდის ნისლიანი ტელეანძის თვალიერება დაიწყო. ერთი სული ქონდა, როდის მოვრჩებოდი. მოთმინებით (მისი მთავარი თვისება) მისმენდა და, როცა როგორც იქნა, დავამთავრე, დიდი პაუზის შემდეგ მითხრა:

- ბუბა, ჩაუჯექი სცენარს. გადაღებულ მასალასაც. კარგად შეისწავლე ერთიცა და მეორეც, შენს ტვინზე მოირგე და გადაიღე ისე, როგორც გადაიღებდი შენ და მხოლოდ შენ... ასე აჯობებს... ამ ფილმის დამთავრებას შენს მეტი ვერავინ ვერ შეძლებს. და არც აქვს ამის მორალური უფლება....

რეზო ჩხეიძე

რეზო თბილი, დამაწყნარებელი ინტონაციით ლაპარაკობდა. მაგიდის წინ ვიჯექი, რატომღაც რეზოს ზურგს უკან საქართველოს ძეგლთა რუკას ვუყურებდი და მის სახეს თვალს ვარიდებდი. დროდადრო ჰოლიდან ლერი სიხარულიძის ხმა ისმოდა. პარკეტის ხელოსანს ეკამათებოდა: შენ რა გესმის, ბიჭო, იცი რა თაობა მოდის? ყიფიანი, გუცაევი, მაჩაიძე, სტეფანია! ეგენი დაგლიჯავენ...

რეზომ ხელში რბილად ჩამავლო, თავისკენ მიმახედა და მითხრა:

- აწიე თავი და კაცურად მოკიდე საქმეს ხელი. ძმა ხარ და ძმის ამბავი ბოლომდე უნდა მიიყვანო... ნუ ჩამოუშვი ცხვირი, მამაშენის შვილი მასავით ოპტიმისტი უნდა იყოს, - მამაჩემის ხსენებაზე რეზოს სახე გაუნათდა, - კინოში დაბადებიდან არა ხარ? ისეთი რა შეგეშლება? შენზე უფრო სულელები იღებენ ფილმებს და ლიდერებშიც მიძვრებიან (ორივეს გაგვეცინა: რეზოს გულწრფელად, ბავშვივით, მე - ნერვიულად), ამ ფრაზას, ალბად, მამაშენიც გეტყვის... მე უკვე ჯუნას ველაპარაკე, თუთბერიძეს, ისიც ფიქრობს, რომ ფილმს შენ უნდა მოკიდო ხელი. დაიწყე გადაღებები, როცა დაგჭირდები - დამიძახე, მასალასაც ვნახავ და გადაღებაზეც, თუ მოგინდება, წამოგყვები. კარგი ფილმი გამოვა, აი ნახავ. რაც აქამდე გადაიღო ქართლოსმა - ძალიან კარგია, ფილმი უკვე გზაზეა დამდგარი, კარგ გზაზე. უკვე იგრძნობა ფილმის სული... ოპერატორი შესანიშნავად მუშაობს, მხატვარიც. ყველა მსახიობი თავის ადგილზეა, გეგა კი საერთოდ არაჩვეულებრივი გამოდის. ობოლი ლაზარეს უპატრონოდ მიგდება ვერაფერი კაცობაა...

რაღაცის თქმა რომ მოვინდომე, რეზო ისევ გაბრაზდა:

- გვეყო ამდენი ლაპარაკი, ბუბა! არაფრის გაგონება აღარ მინდა!..

რეზო ადგა, გავიდა და კარი ისე გაიჯახუნა, როგორც ჩვეოდა. სტუდიის დერეფანში ყაყანი უცბად ჩაწყნარდა. მერე კარი ისევ შემოაღო და აუღელვებელი პედეგოგიური სიმკაცრით მითხრა:

- პირადულზე კი ხალხში რაც ნაკლებს ილაპარაკებ, საქმისთვისაც უკეთესია, პირადულისთვისაც და ამ ხალხისთვისაც! - და ისევ გავიდა, ოღონდ კარი ამჯერად ნელა მიიხურა. მერე თავი სანახევროდ ისევ შემოყო:

- არ გახვიდე ოთახიდან, მე მალე მოვალ! - და წავიდა. ჩაჩუმებულ ჰოლში მისი მკაცრი ნაბიჯების ხმა ჯარის მარშირებას მოგაგონებდათ მისივე ფილმებიდან.... ანძის ყურება ამჯერად მეც დავიწყე...

ჰოლში ისევ ამოძრავდნენ. ლერი არ ისვენებდა: ქართული ფეხბურთი ქართულ ცეკვასა გავს... ეგენი ძა-ა-ან მაგრები არიან – დათო ყიფიანი მსოფლიოს აალაპარაკებს, ის ჩვენი ეროვნული სიამაყე გახდება.. ქვემოთ დარაჯი ეჩხუბებოდა მერაბ გვანცელაძესა და იურა ბეზნოსკოს: კიდე თელი ღამე პერეზაპისზე უნდა იმუშაოთ, ტო? სახლი არა გაქთ, ნადაელი, ნუ!... სტუდია ცხოვრებას აგრძელებდა. დედამიწა ბრუნავდა... ნელ-ნელა დავწყნარდი და რეზოს სიტყვამ ჩემს თავში შეღწევა დაიწყო. თანდათანობით იმედი ჩამესახა, გულიც მომეცა: იქნებ შევძლო ამ ფილმის გადაღება? მართლა მეცოდებოდა პატარა ლაზარე, თითქოს შველას მთხოვდაო... რეზო არ ბრუნდებოდა... და უეცრად მივხვდი იმას, რასაც ჩემშივე ვგრძნობდი, მაგრამ ვერ ვაყალიბებდი (და არც არავის არასოდეს გამოვუტყდებოდი!): რა თქმა უნდა ფილმის გადაღება ძალიანაც მინდა! ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება! რა თქმა უნდა, დავთანხმდები, რაც იქნება - იქნება! თავს არ დავზოგავ, ფილმს ბოლომდე შევაკვდები. ეს ჩემი ვალია! ფილმს გავარძელებ, რაც არ უნდა მომივიდეს!..

კადრი ფილმიდან „ლაზარე“

რეზო კი იმ დღეს, რა თქმა უნდა, აღარ დაბრუნებულა. როგორც ჩანს გადაწყვეტილების მოსამწიფებლად დრო მომცა. ის ხომ მხოლოდ მაშინ მოდიოდა, როცა ვინმესთვის დახმარება იყო საჭირო...

იმავე საღამოს, როცა მამაჩემს მოკლედ მოვუყევი, რაც მოხდა, შეწუხდა და თანაგრძნობით მითხრა:

- ო! ეს რა დრამა გადაგხდენია, კაცო! - მართლაც ვერასოდეს ვხვდებოდი, ხუმრობდა მამაჩემი თუ არა - მართლა სანერვიულო იყო, რეზოს უცბად რომ მიეღო შენი უარი, რაღა გეშველებოდა?!

გაბრაზებული წამოვხტი და ოთახიდან გაქცევა რომ მოვინდომე, მტაცა ორივე ხელი, გულზე მაგრად, ტკივილამდე მაგრად, მიმიკრა და ჩურჩულით მითხრა:

- ნურაფრის გეშინია, შვილო, ხომ ვიცი, გულის სიღრმეში როგორ გინდა ფილმის გაკეთება, უკან არ დაიხიო და ღმერთი შენთან იქნება. ოღონდ იცოდე, ბოლომდე უნდა მიენდო ღმერთს, ღმერთს და მხოლოდ ღმერთს! - შემდეგ გამიშვა ხელი და თვალებში ჩამხედა. იშვიათად ჩაუხედია ჩემთვის მამაჩემს თვალებში ასე სერიოზულად, კაცურად. მეც ასე შევხედე. დიდხანს ვუყურეთ ერთმანეთს. შემდეგ, თითქოს რაღაც მოეწონაო, შვებით ამოისუნთქა და, უკვე ხმამაღლა, არტისტული სიმსუბუქით დაამატა:

- დროდადრო მამაშენსაც! მაგრამ, თუ კი ფილმი არ გამოგივიდა, ნურც ამაზე მოიკლავ თავს. როგორ გგონია, შენს გარდა ფილმი არავის გაუფუჭებია, ა-ა?! - და ახითხითდა ზუსტად ისე, როგორც დღეს, ოცდაცხრა წლის შემდეგ, მისი ოთხი წლის შვილიშვილი ხითხითებს, მოულოდნელად კარგ ხასიათზე რომ დადგება ხოლმე...

(გაგრძელება იქნება)

გენო კალანდია: „საგალობლები უფლისთვის“

„საგალობლები უფლისთვის“ — ასე ჰქვია გენო კალანდიას ლექსების კრებულს, რომელიც ორი წიგნისგან შედგება.

არის რაღაც სიმბოლური და მისტიკური იმაში, რომ გენო კალანდია კრებულის გამოსვლიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა — თითქოს ბოლო ფრაზამდე, ბოლო სიტყვამდე ყველაფერი თქვა ამ საოცარი ლექსებით და პირნათელი და ვალმოხდილი მიეახლა უფალს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „საგალობლები უფლისთვის“ ლიტერატურული მოვლენაა, რომელზეც ძალიან დიდხანს და ძალიან ბევრს ილაპარაკებენ დიდი პოეზიის მცოდნენი და დამფასებელნი.

ვახტანგ ხარჩილავა

* * *

უფალო, ნათლის სვეტივით ბრწყინავს
მაისის ფერში მწვერვალი ერთი,
თითქო საყდარში გვერდიგვერდ დგანან
იესო ქრისტე და მამა ღმერთი.

ცა შეთრთვილული ალოეს ცრემლით,
თითქო წმინდანებს უჭირავთ მხრებით,
რა კარგი დღეა... რა გზა და ველი,
რა იდუმალი შუქი და ხედი?!

* * *

უფალო, დილის ნათელში გხედავ,
შუადღის, მწუხრის ლოცვებში გხედავ,
მწირის, ტანჯულის ურვაში გხედავ,
ძეშეცთომილის ნაღველში გხედავ.

ბავშვის, ქალწულის თვალებში გხედავ,
დედოფლის სუნთქვა-თმენაში გხედავ,
მტკვრის და არაგვის მირონში გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.

დიდგორის ომში, მარტყოფში გხედავ,
კრწანისის გულის ფეთქვაში გხედავ,
მამულის სპაში, ლაშქარში გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.

ივრის, ალაზნის შრიალში გხედავ,
ზაფხულის ღამის ელვაში გხედავ,
ვარდის, ზამბახის ჟრჟოლაში გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.

მეფის, წმინდანის სენაკში გხედავ,
დავით გარეჯის მღვიმეში გხედავ,
ბერის, მონაზვნის ხილვებში გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.

ტყეში, მინდორში, ყანაში გხედავ,
თიბათვის ვერცხლში, ოქროში გხედავ,
ყველა ბჭესა და ქარგაში გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.

ცად მიმავალთა აღლუმზე გხედავ,
წყალთა და ხმელთა ხმაურში გხედავ,
დედის და მამის საფლავზე გხედავ,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ.

ჯრუჭის, იკორთის ტაძრებში გხედავ,
აღდგომის მზე და სიზმრებში გხედავ,
ლექსს ვწერ... თუ ტყე-ტყე ავდივარ აღმართს,
უფალო, გხედავ, გხედავ და გხედავ!

* * *

უფალო, შენი მაღალი ნებით
მიხმე დიადი ნათელის წიაღ,
ამავსე შენი შაბათის შვებით,
საყდრის ჩიტივით სუსტი და ფრია.

ამავსე კვირის უმანკო ლოცვით,
მიშველე მარად ყარიბს და შიშველს,
ჩემსავით ერთგულს და ჩემებრ მორჩილს,
ვეღარ შეხვდები ოდიშის ცისქვეშ.

* * *

უფალო, ცხენის წელია ჩემთვის,
მეფე დავითის წელია ჩემთვის,
მეფე ერეკლეს წელია ჩემთვის,
მათი ცხენების ჭიხვინი მესმის.

ელადა, რომი, ანისი, გრემი,
მზე გადაჰქონდათ მახვილის წვერით,
მეფე დავითის წელია ჩემთვის,
მეფე ერეკლეს წელია ჩემთვის.

* * *

უფალო, მთელი წელია ვცდილობ,
როგორ გავითბო ლოცვებით გული,
თვით ნათელქმნილო, ძეო და ძირო,
თავად ცხოვრება ყოფილა რთული.

წარსული, აწმყო — მომავლის თასი, —
სავსეა შენი ციური სხივით,
დიადი ფიქრით, ნათელით მავსებს
საკურთხეველი და წმინდა წიგნი.

* * *

უფალო, თოვლი მოსულა ღამით.
რა სიმშვიდეა, რა სილამაზე!
თითქო, ათასი ციმციმებს კვარი, —
შენგან, ო, შენგან გაკვალულ გზაზე.

ისეთი მზე და გარემო სუფევს,
ისეთი მნათი ანათებს საყდარს,
თითქოს, იები მოგართვეს წუხელ
წმინდა მამებმა სიონის კართან.

* * *

უფალო, იქ რომ ჭალაა ერთი,
იმ წყალ-ჭალაში ბულბული გალობს,
იქ, თურმე, ციდან ჩამოდის ღმერთი
და იმ ბულბულის გალობით ხარობს.

იქ, ღამღამობით, შუაგულ ტყეში
ვარსკვლავთა დიდი ფორუმი მიდის...
მანათობლების სიტყვა და ტაში
კიდიდან კიდით, კიდიდან კიდით

ისმის და... ღმერთი, მდიდარი ფიქრით,
ფიქრობს და ფიქრობს ვარსკვლავთა ბედზე...
თენდება... ცაა იფქლის და თრიმლის
და ორიონი ანათებს ქედებს.

* * *

უფალო, ჩემი გულია შენი
ძის და ღვთისმშობლის საბრძანებელი,
ასე ფიქრობდა თვით იაშვილი,
თვით სალომეა და სოფლის მღვდელი.

იქ კიდევ ერთი ჭაბუკი იდგა,
წინანდლის ვარდებს შეფარებული...
ალაზნის ოქროს ზვირთებს და გრიგალს
მიჰქონდა გული, როგორც ბუმბული.

მღეროდა ვარდი — ქალი მელიტა
ნამზე, ცისკარზე ჯვარდაწერილი...
ამოდიოდა მთვარე ლელიდან
ბოდბეს დოქივით ყელაღერილი.

თვალს ალავერდის ნათელი ჭრიდა,
ვით დილის მნათი ამომავალი.
დღე იყო თბილი, მჭვირი და სუფთა
და საყდრისივით ოქრომრავალი.

* * *

უფალო, მშვიდად ვაპირებ სიკვდილს,
ყოველდღე ველი პირუთვნელ მსაჯულს,
აი, ეს ლექსი, აი, ეს წიგნიც,
მოდი, უფალო, პირდაპირ საჯე!

ჩემი გზა, ჩემი ფიქრი და ყოფა
არის მაშველის ნავი და აფრა,
მიიღე ჩემი ლექსების კონა,
ვით საკალანდო სურო და დაფნა.

* * *

უფალო, ოდეს განათდა ფიქრით,
ოდეს გაეხსნა მესამე სუნთქვა,
დაჯდა, დაწერა ლოცვების წიგნი
ღვთის ცრემლებივით მჭვირი და სუფთა.

ბევრჯერ იწვნია შური და ღვარძლი,
არ დაკლებია წვიმა და თქეში...
და მოკვდა, როგორც მდიდარი კაცი —
სჯულის კანონით და ხატით ხელში.

* * *

უფალო, ვფიქრობ სიკვდილის დღეზე,
ექიმი ხშირად მისინჯავს მაჯას...
ვიგონებ ბზიფის ფიჭვისფერ კედელს
და კარაბადინს, ვით მამის ბარჯას.

ცხოვრებამ უკვე დაკარგა აზრი,
განელდა გულის სითბო და ცეცხლი...
საღამო, როგორც შტრაუსის ვალსი,
მეშვიდობება მეუღლის ცრემლით.

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

ტომი: ბედ უი ნი (არ აბია), არ ების, ფულბე (ფულა), მანდ არა, ბა-დე, ტივი, ტიკარი, სერ ერი, ნუ ერი, მანდე, მენდე, ბანია რუ ანდა, ბარ უნდ ი, მასილა, მას ესილა, ბურჯი, კაფა, შავი ია, ვაი, თუ არ ეგე (დარ-ცხვენილნი), ვაგოგო, ვაპარე, ამას ვაზი, ვაზ არ ამო, მუნ ანეკა, ვანი ანეკა, ვანი იქა, ია ვანი, ჯარ ავა, ჯერ ავა, ბატა, ლომა, ბუ ლომი, ფური, მაბა, ბარი, ბრით (ველ ეს), ტურკანა, კანარა, კანაურე, კანდი-გა, კანური, კარნოთ, კარ ეკარე, კარ ამო ჯო, ზარ ამო, ძლ ამო, გუ-ლა, მობერო, ჰაი ბერ, მომანდე, მოა-ბი, ლაზული, ტოლთ ექე, ეროკეს, გუარანი, ჩარუა, მაგი-რე, საფარი, ფარქან, ნავ ათლი,ეჯე, კავი (არია, ვედე), უგალ, ჩანგო, ილოკე, ვისაია, მაორ, ჩუმ აქვე, ნამა, აინი, ხარუკუ, შინა, მონა, ვენდენ, კრან, ანტე, ეტ-რუსკე, სუნვარ, სამე...

ქალაქი: მადრი დ(შედარებითა), ტოლ ედო, ედო, ადენ, ბერნი, ბერ შადი, ბერ გენ, კან ბერ-ა, ბაღდად, Dაკარ, თან ან არრივე, ერიდო, მე-რიდა, უამბო, ურბინო, მოლცანო, ეგინა, ვარ შავა, თონპურ, კოლხა პურ, ვიშ აქ ხაპად ნამ, ნამიური, ნამ-დინ, მანამა (მცირე ნამითა), მედინა, მექა, რაკვერე, რა მალა, მალულია, ნაზარეთი (ზარიტა), იერ უშალ-აიმ, სამარია, სამარა, ერბილ, მოსული, აქ აბა, არაფხა, ფხენიანი, სეული (ყორე), ვად უც, აკრა, კონ აკრი, მალაგა, მას ალია, ლიონ, ასუან, ჰელუანი, ბასიანი, ფულიანი, საი-ამინ (ამოი), ჩამდო, უხან, მარადი, ნაქონრად ჩასიმა, აიუთია, აი ზე-ნაზ, ბადენ-ბადენ, ვის ბადენ, მაინც, ცაიც, ცილე, იცეხო, აახენ, ვითენ, მიუნდენ, გერ ა(გერმან), სანთი აგო, კარ აქას, კარ ალი, კა-რია, კარ აცო, კარ მარტენ, კარაული, ცერჩავა, კე-ცელი, მატარა, ნუ კუალობა, კუალა ლუმპ-ური, არვიციაური, უჟური, უშური, სუფრიერი, ივსკარანი, მა-რანი, თროა, დამათურე, ჰო დეიდა, ვარ ესე, ვით ერბო...

კუნძული: იავა (სიავითა), სულ ავ ეს, Mინდანაო, Mინდორო, ფარ ერი („ცხვრის კუნძულები“-ავტ), ფაროს, კარ ავი, კარ-ათა სკა, კარ ვანი, ჩანგი, კუტი, ნეკერი, გუა ნა-ხა, სიცილია (მდგომარეობითა), რო ატან, კიუ რასაო, გონავ, იამა იქა, საამოა...

მდინარე: ამაზეონ, აპურე, პური, უ რუ გუაი, უ რუ მე, რუ კარ არა, კარონ, კარაი, კარ ნა-ფული, კარა, სუკარი, კაურა, არ აკავა, ედო გავა, დაუგავა (წყლითა მიმოგვითა), მუშა, დუბ-ისა, თემისა, მენამ, ვარ დარი, აქ დარია, აი დარი, ქარ ხე, საქარია, შეშუპე, მისი სიპი, ა რაგ-დონ, იდენ, ფულდა, იზარ, ნეკარ, ელბა, მოზელ, ვერა, მარნა, მარანიონი, ანაბარი, რა, ანგარ ა, ულაზ, ენისეი, ობი (ტომი, შორელი), შორთ ანდ, ამურ (ხარა მურენ, მურა მდინარა), მალ ენდო, იშიშ, შიში, სენ ა, ცან, მუნ, შედი, ილექ, განძიანი, იამ, მიჰარეს...

მთა: პირ ენე, პირინი, კარნი(ჰოე ვართ-ე), ალპენ (ნეშომპალა ნი-ადაგითა), მაგნეთ, მაქედ-ონ ი ა(ქე-დუსებრი მწვერვალებითა), პარპატ, კარფას, კირენია (მე საორ), სიონ, კარ მელ, კარ-ად ამონ, კარ ავან-კე, კრა ვანი, მეკრან, მაკონა, მაოკე, ბაგესანი, ჩაგანდო, არარად, კაპი, თიბე, თიბეთ (ტალღოვან ფერთობ-თა გამო სათიბია), ყარა ყო რუმ, რუ აპე ჰუ, ანდეს (ალთ იფლანო, აკონკ აგუა, კანიონ, ქოლ ო რად ო? — ჩაქოლვითა მისითა), გინდ უქუშ, აქ თაუ, ვალი მიაგე, ჰე კლა, ნუ რათა, ქეენიი ა, ერგენ, ეთნა, ვეზუვ, ვითოშ, ფუძიამა, აბერდი, ხარ აულახ, ნამუ-ლი, ანამა, ბოლან, არ ავალ (აჯანთა — ჩაიტიე, ვიჰარი), კალ-აჰარ, საჰა-რა, საფა-რი, გობი, ტურფანი...

ზღვა: კარ იბიან, კარ ი, კარად იფ, კარად იგან, კარაგ, კარ ჰენტ არ, კარიმატა, არა ფურ ა...

სხვა: მერიდიან, ეკვეთ ორ, ეკ-რან, ეთალონ, კაპ ითალ, კონ სულ, კანონ, უტოპი ა, ჰირ ამ-იდა, იდე ა, კარ ნავალ ი, კარ ნაქ, ამონ (ღმერთი აამნონ), ყურან... ესე ყოველი.

ქალაქი ბიბლოსი

ესე უწყოდეს ყოველსა და დაიგ-მოს მშვიდად ამპართავნება, რამეთუ ბგერანი გრძნობითი ერთ არს და ყოვლად გასაგები ვითარცა: ვაი! (ვა-ება), ოხ! (ოხითა), ნწ უხ! (წუხილი), ჰშვ! (ღრმა ამოსუნთქვითა: შვება, მშვიდი, შვილი, შვ...), ჰა მმ! (ჰამო), იფ! (იფად, მეიფე, კაიფ), ჰა?! არადა-ყოვნებითა ეცნობოს კაცობრიობასა და განივრცოს სრულად ენა იგი სამეტყველო, რომელსა შინა დამარ-ხულ იყო საიდუმლო, რათა არდგეს წესი უფლისა ჩუენისა, რომლითაცა აღდგების მშვიდობა და წესრიგი ქუ-ეყანასა ზედა, რამეთუ: ღმერთმა რო-დესაც ამ ქუეყანასა კაცი შეჰქმნა და სული შთაბერა, სრულჰყო გონებით, გრძნობამქონობით, ზე აღმოუხმო ბაგითგან ბგერა ხმათა შესმენით, მიმბაძველ ენით, სიტყვად უბრძანა და გამოუჟღერა და სამეტყველოდ დაუდო შემდგომ კაცთა მოდგმას რომ ეგონიერა.“

დღევანდელ მსოფლიოში 10 ან-ტიკური ქალაქია, სადაც შემორჩენი-ლია მოსახლეობა, თუმცა „შემორ-ჩენა“ პირობითი ცნებაა თუ თუნდაც ქუთაისში მაინც გაივლ-გამოივლის ადამიანი...

მივყვეთ ქრონოლოგიურად: ქა-ლაქი იფე (სამხრეთ ნიგერია) და-არსებულია ქრისტეს შობამდე და-ახლოებით 350 წელს. მე-18 საუკუ-ნეში ომისა და მონებით ვაჭრობის შედეგად, ქალაქი, ფაქტობრივად, განადგურებულია, თუმცა დღეისათ-ვის დაახლოებით 600 000-ზე მეტი მოსახლე ჰყავს, აქვთ ერთ-ერთი უმსხვილესი უნივერსიტეტი და ის-ტორიკოსთა საზოგადოება.

ქალაქი ბალხი დაარსებულია ქრისტეს შობამდე დაახლოებით 500 წელს, რომელიც ავღანეთის ტე-რიტორიაზე მოქცევამდე და ალექ-სანდრე მაკედონელის შემოსევების შემდეგ, წარმოადგენდა საბერძნე-თის ერთ-ერთი რეგიონის, ბაქტრიის დედაქალაქს. მრავალი ოკუპანტის მმართველობის გამომვლელი ქალა-ქი ბოლოს სასანიელთა იმპერიის ტერიტორიის ნაწილი აღმოჩნდა. სწორედ ამ იმპერიის წყალობით გახდა ქალაქი ბალხი ცნობილი, როგორც განათლების ცენტრი, მოი-პოვა „ქალაქთა დედის“ ტიტული და აქვე ჩამოყალიბდა ზოროასტრიზმი.

ქალაქი ლუოიანი დაარსებულია ჩინეთში, ქრისტეს შობამდე დაახ-ლოებით 1050 წელს ზიუს დინასტიის მმართველობის პერიოდში და დედაქა-ლაქად გამოყენებული იყო 9 დინას-ტიის მიერ. ქალაქის არქიტექტურულ და რელიგიურ განძს წარმოადგენს „თეთრი ცხენის ტაძარი“ (ბუდიზმის აკვანი ჩინეთში). ქალაქი ბუდისტური გამოქვაბულებისა და ჩინური ხელოვ-ნების კერაც არის და შეყვანილია „იუნესკოს“ ძეგლთა დაცვის სიაში.

ქალაქი პატრასი (საბერძნეთის ტერიტორია) დაარსებულია ქრის-ტეს შობამდე დაახლოებით 1100 წელს. არსებობს ვარაუდი, რომ ქა-ლაქი ჯერ კიდევ ქრისტეს შობამ-დე მე-3 ათასწლეულში არსებობდა. ხელსაყრელი ზღვისპირა მდებარე-ობის წყალობით პატრასი საბერძნე-თის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს დღესაც. სამწუხაროდ, შემორჩენილია მხოლოდ II საუკუ-ნის ადრეულ ხანაში რომაელების მიერ აგებული თეატრი და პრეის-ტორიული აკროპოლისი, რომელიც ლეგენდის მიხედვით თავად ჰერაკ-ლემ ააგო.

ქალაქი ქუთაისი დაარსებულია ქრისტეს შობამდე დაახლოებით 1400 წელს, რამდენიმე სამეფოს დე-დაქალაქი, მათ შორის კოლხეთის — ქრისტეს შობამდე მე-6 საუკუნიდან პირველ საუკუნემდე.

ქალაქი ტაირი (ფინიკია) დაარ-სებულია ქრისტეს შობამდე დაახ-ლოებით 2750 წელს. მის სახელს უამრავი მითი და ლეგენდა უკავ-შირდება და მნიშვნელოვანი ად-გილიც უჭირავს ისტორიულ მოვ-ლენებში. მეფე ნაბუქოდონოსორი 13 წლის განმავლობაში ცდილობდა მის დაპყრობას, თუმცა — უშედე-გოდ. Mმასზე ძალაუფლების მო-პოვება ალექსანდრე დიდმა მაინც შეძლო და ფაქტობრივად, მიწასთან გაასწორა. ტაირში შეიქმნა საღებავი იასამნისფერი პიგმენტებით, რის გა-მოც ბერძნებმა მის მაცხოვრებლებს „იასამნისფერი ხალხი“ — „ფიონნი-კეს“ უწოდეს და აქედან მოდის ფი-ნიკიელთა სახელიც. Aალექსანდრე დიდმა კუნძული საზღვაო გზით კონ-ტინენტს დაუკავშირა. ახლა ტაირი ლიბანის ტერიტორიაზე მდებარე-ობს. აქ თავმოყრილია რომაელების მიერ აგებული უამრავი ღირსშესა-ნიშნაობა, მათ შორის მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი, II საუკუნეში შექმნილი იპოდრომი.

ქალაქი სიდონი დაარსებულია ქრისტეს შობამდე 3000 წელს. მისი სახელი ბერძნულიდან მომდინარე-ობს და მეთევზეობას ნიშნავს. ის ძველი ფინიკიური ქალაქია, რო-მელიც ასევე ალექსანდრე დიდმა დაიპყრო და რადგან უბრძოლველად ჩაბარდა, მასობრივ ნგრევას გადა-ურჩა. ქალაქი რამდენიმე უზურპა-ტორის მბრძანებლობის ქვეშ მო-ექცა, თუმცა ოსმალთა ბატონობის დროს განსაკუთრებით განვითარდა. ქალაქის ისტორიულ ძეგლთა შო-რისაა ეშმუნის ტაძარი, რომელიც აგებულია მკურნალობის ფინიკიური ღმერთის სახელზე.

არგოსი, ევროპის უძველესი ქა-ლაქი, დაარსებულია ქრისტეს შო-ბამდე 5000 წელს და თავდაპირვე-ლად საბერძნეთის ქალაქ-სახელმწი-ფოს წარმოადგენდა. თანამედროვე არგოსი აშენებულია ანტიკური დროის ნაქალაქარზე. შემორჩენილია მხოლოდ ქალღმერთ ჰერას სახელ-ზე აგებული ტაძრის ნანგრევები რომელიც ქ.შ მე-7 ათასწლეულით თარიღდება.

უძველესი ფინიკიური ქალაქი, ბიბლოსი დაარსებულია ქრისტეს შობამდე დაახლოებით 6000 წელს. ვარაუდობენ, რომ ფინიკიური ანბანი სწორედ აქ დაიწერა. მისი სახე-ლიც ბერძნულიდან მომდინარეობს რაც „ქარალდს“ ნიშნავს. ქრის-ტეს შობამდე მე-3 ათასწლეულის დასასრულს, ამორების შემოსევის შემდეგ ქალაქი გადამწვარი და მი-წასთან გასწორებული იყო. თავ-დაპირველად, ბიბლოსმა დაკარგა დედაქალაქის სტატუსი, ხოლო ჯვა-როსნული ლაშქრობების პერიოდში მნიშვნელოვანი ქალაქის სტატუსი.

ლიბანის ქალაქი ჯბეილი ბიბ-ლოსის ნანგრევებზეა აშენებული, ხელუხლებელი ტერიტორია კი იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაშია შეყვანილი.

იერიქონი დაარსებულია ქრისტეს შობამდე დაახლოებით 9000 წელს. მისი აყვავება გრძელდებოდა მომთა-ბარე ტომების შემოსევამდე (ქ.შ მე-2 ათასწლეული). რამდენიმე ასეული წლის შემდეგ იგი განადგურდა ხან-ძრის გამო. თანამედროვე იერიქონი აგებულია ანტიკურ ნაქალაქარზე.

ჩამონათვალი, თავისთავად, ინ-ფორმაციულია, მაგრამ მხოლოდ ამაში არ არის საქმე, მათი და-სახელებებიც საინტერესოა, თუმცა ამჯერად სხვა საკითხზე გავამახვი-ლოთ ყურადღება.

დოქტორი არანეგი წერს: „არ შეიძლება, ყურადღება არ მიიქციოს იმ ფაქტმა, რომ მრავალი ქართული გვარი ზუსტი ასლია ბასკურისა, ან — პირიქით. მაგალითად: ერისთავი, ლოლუა, ნოდია, ხუბულური, ინა-ური, ოჩიაური, წიკლაური და ა.შ ასევე, ტოპონიმიკური მონაცემები: გალი, ლენტეხი, ხაშური, მესტია და ბევრი სხვა, თითქოს ბასკეთის რუკიდან აუღიათო, ან — პირიქით, ქართულიდან ბასკურში გადაუტანი-ათო...“ (სამ იბერიაზე უკვე ვთქვით ორიოდე სიტყვა)

ამასწინათ ამგვარ ინფორმაციას გადავაწყდი სათაურით „რატომ ბო-ლოვდება მეგრული გვარებია „ია-თი“?

ვერსია-პასუხი — „კუნძულ კრე-ტაზე, კრონოსის სამეფო სასახლის ნანგრევების გათხრისას აღმოაჩი-ნეს თიხის ფირფიტები ლურსმნული დამწერლობით. მათი გაშიფვრის შე-დეგად (ინგლისელი მეცნიერი ჯონ ჩედვიკი) საყურადღებო ცნობები იქნა ამოკითხული. კერძოდ, ძველ საბერძნეთში და საერთოდ, მიკენურ სამყაროში, ერთი და იმავე სახე-ლის მქონე ორი პიროვნების ერთ-მანეთისგან გარჩევა ხდებოდა მამის სახელით, მაგრამ ეს ეხებოდა მხო-ლოდ არისტოკრატიას, დანარჩენებს კი ერთმანეთისგან განასხვავებდნენ მათი საცხოვრებელი ადგილის სა-ხელწოდების დამატების მიხედვით.

ეს წესი, როგორც ჩანს, ვრცელ-დებოდა არა მხოლოდ კუნძულ კრე-ტაზე, არამედ ეგეოსის ზღვის მთელ არქიპელაგზე. ამიტომ, პელასგი მაკ-რისელები, მეგრელები და ჭანები (ლაზები) ამ წესის მატარებლები იქნებოდნენ. ჯონ ჩედვიკის ცნობის მიხედვით, ამ გვარების დაბოლოებამ მშობლიური პოლისის, ქალაქის სა-ხელწოდება უნდა მოგვცეს.

აქვე მხედველობაში უნდა ვი-ქონიოთ ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ დასაბამიდან, კოლ-ხურ ტომთა გვარები გადადის შთა-მომავლობიდან შთამომავლობაზე და თაობიდან თაობაზე უცვლელად. შესაბამისად, კოლხური ტომის წარ-მოშობის ადამიანები იმ გვარებს ატარებენ დღესაც, რა გვარებსაც ატარებდნენ მათი წინაპრები, ალ-ბათ, რამდენიმე ათასი წლის წინათ.

„ია-თი“ დაბოლოებული გვარი ბევრია აფხაზეთში და ისინი თა-ვიანთ თავს აფხაზებად მოიხსენი-ებენ, ვინაიდან, სამეგრელოს ჩრდ-დასავლეთ ტერიტორიას ეგრისის სამეფოდან დაწყებული, ეწოდებოდა აფხაზეთი და იქ მცხოვრები მეგრე-ლები აფხაზებად მოიხსენიებოდნენ, ამიტომ აფხაზებს, ისევე როგორც მეგრელებს, მეგრული გვარები ჰქონდათ და მათი მშობლიური ენა იყო მეგრული. ეს ყოველივე მეტყვე-ლებს იმაზე, რომ აფხაზეთი ღვიძლი კუთხეა სამეგრელოსი და უძველესი აფხაზები მეგრელები იყვნენ.

(გაგრძელება იქნება)

შერაცხავენ თუ არა „მჯდომარე ანასტასიას“ წმინდანად?

კუკიის სასაფლაოზე ერთი ჩვეულებრივი საფლავია, სადაც მუდმივად ანთია კანდელი და დღეცა და ღამეც უამრავი მნახველი აკითხავს.

ეს ანასტასია ნიკიშვილის საფლავია.

მჯდომარე ანასტასია ერთი უბრალო თბილისელ გოგოს მას შემდეგ ეწოდა, რაც მან თავი ღმერთს შესწირა და 65 წელიწადი მჯდომარემ უფლის სადიდებელ ლოცვაში გაატარა.

როგორც ამბობენ, ანასტასიამ მჯდომარე ლოცვა მას შემდეგ დაიწყო, რაც მისმა საქმრომ მისი ეზოს ჭიშკართან თავი მოიკლა — ახალგაზრდა ოფიცერს ანასტასიას ცოლად შერთვა გადაეწყვიტა და გოგონას დედინაცვალთან მისულა. დედინაცვალს საშინლად ეჯავრებოდა თურმე ლამაზი, ღვთისმოშიში გოგო და მისი ბედნიერებაც გულზე ეკალივით ესობოდა. ამიტომაც, როდესაც ოფიცერი ეზოში შესულა და დედინაცვლისთვის ანასტასიას ხელი უთხოვია, დედინაცვალს უთქვამს — ანასტასია გაგიჟდა, თოკებით შეკარით და საგიჟეთში წავიყვანეთო.

ოფიცერს იქვე თავი მოუკლავს.

ანასტასიას კი, როცა უსაყვარლესი ადამიანი მკვდარი უნახავს, დაჩოქილა და მას შემდეგ ფეხზე აღარც ამდგარა.

„მჯდომარე ანასტასიას“ ყველაზე მეტად თვითმკვლელთა სულებს ავედრებენ, თუმცა ის ოჯახთა, უშვილოთა და გაჭირვებულთა მეოხადაც არის ცნობილი.

მის საფლავს **რამაზ სალიმიანი** უვლის. იგი ამბობს: „ზოგიერთ ადამიანს მალევე შეეწევა დედა ანასტასია, ზოგიერთი წლები დადის და მერე ნახულობს შველას.

მთავარი, იცით, რა არის? მთავარი არის რწმენა.

სამწუხაროდ, ბევრს არ აქვს შიში და მოკრძალება. განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, არადა, დედა ანასტასია სწორედ ახალგაზრდების მფარველად ითვლება. მოდიან გოგონები, ანთებენ სანთლებს, ილოცებენ, მერე გადგებიან განზე და სიგარეტს აბოლებენ...

დედა ანასტასიას არც საჩუქარი სჭირდება, არც არაფერი, მოდი, ილოცე, შესთხოვე, რწმენა იქონიე და შეგეწევა.

დედა ანასტასია ყველას გვიყურებს ახლა. აქ არის, ჩვენ გვერდით. მის სიახლოვეს განსაკუთრებით ღამით ვგრძნობ. კანდელი რომ არ ჩაქრეს, ღამე მოვდივარ, ზეთს ვუმატებ ხოლმე. მაშინ ვხვდები, რომ დედა ანასტასია ჩემთანაა. ფიზიკურად ვგრძნობ, თითქოს მეხება, მიმანიშნებს.

პირადად მე დიდი მადლი გამიკეთა დედა ანასტასიამ. მე აისორი ვარ, ჩემი სარწმუნოება ცეცხლთაყვანისმცემლობა იყო, იმაზე დიდი მადლი რად მინდა, ქრისტიანად რომ მოვინათლეთ მე და ჩემი ოჯახი და გარდაცვალების შემდეგ ჭეშმარიტ ღმერთს რომ შევხვდებით.

მადლობას ვუხდი ღმერთს, რომ გავხდი ამის ღირსი.

მადლობას ვუხდი ჩემს სამშობლოს, საქართველოს, ქართველ ხალხს! მიხარია, რომ ასეთი საჩუქრის ღირსი გავხდი. ის, რომ მე დედა ანასტასიას საფლავს ვუვლი, მამა **რაფაელ პარელინის** კურთხევით ხდება. ერთ დღეს მოვიდა აქ მამა რაფაელი და მითხრა: შენ უნდა მოუარო აქაურობას, ოღონდ ფული არავისგან აიღოო. მას მერე ველოლოავებით მთელი ოჯახი — დედაჩემიც, ჩემი დებიც, ყველა“.

მლოცველები და დედა ანასტასიას თვითმხილველები ამბობენ, რომ სიცოცხლეში მის ირგვლივ გველები ჩვეულებრივად მიმოდიოდნენ.

ახლაც მისი საფლავის სიახლოვეს გველი ცხოვრობსო, ამბობს ბატონი რამაზი, რამდენიმეჯერ გადავიყვანე სასაფლაოს ეზოდან და ისევ უკან ბრუნდებაო.

დედა ანასტასიას საფლავის გვერდითა სამარხის ზედაპირზე მართლაც შევამჩნიეთ შავი გველი, მზეზე უწყინრად გაწოლილი, ჩვენს საუბარზე და ფეხის ხმაზე საერთოდ არც შეტოკებულა. იწვა და ერთი მიმართულებით სივრცეს გაჰყურებდა...

საქართველო მდიდარია სიწმინდეებით.

დედა ანასტასიას საფლავიც ქართველთა ნუგეშია.

რამაზ სალიმიანი ფურცელს გვაწვდის, რომ ხელი მოვაწეროთ, რათა საპატრიარქომ დედა ანასტასია წმინდანად აღიაროს.

მჯდომარე ანასტასიას ღვაწლი ღვთის წინაშე სიცოცხლეშიც უდიდესი იყო. თვით მესვეტე მამებიც კი, სვეტზე იძინებდნენ, დადიოდნენ. მჯდომარე დედას კი, როგორც ამბობენ, ფეხები შეეზარდაო, ისე იყოო და მიცვალებულიც მჯდომარე დაასაფლავესო.

თუკი მჯდომარე ანასტასიას წმინდანად შერაცხავენ, მისი ხატებით მოიფინება საქართველოს ეკლესიები და დედა ანასტასიას ლოცვა მთელ საქართველოს შეეწევა...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– უარს ვამბობ სამკვიდროდან ჩემი წილის მიღების შესახებ ძმის სასარგებლოდ. რა ფორმით, რა ვადაში უნდა გავაკეთო ეს?

–თქვენ უფლება გაქვთ, უარი თქვათ სამკვიდროს მიღებაზე როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. უარის თქმისთვის, კანონმდებლობით დადგენილია სამთვიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როცა თქვენ შეიტყვეთ ან უნდა შეგეტყოთ, რომ მიწვეული ხართ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად შეუდექით სამკვიდროს ფლობას – ამ დროს, ეს ვადა შეადგენს 6 თვეს.

* * *

– რა შემთხვევაში შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს, უარი თქვას სამართლებრივ დახმარებაზე?

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, არ აღმოუჩინოს სამართლებრივი დახმარება, თუ:

ა) ეს სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს;

ბ) სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებს ანდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს აცხადებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, იგი ვალდებულია 3 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც თხოვნით მიმართა მას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს საერთო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არარსებობისას – სასამართლო.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სარჩელი სასამართლოს წარედგინება მხოლოდ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი ორგანოსაგან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე წერილობითი უარის მიღების შემდეგ.

* * *

– რა წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას?

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით,

პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას.

* * *

– როდესაც მიმიღეს სამუშაოდ, ჩვენ შევთანხმდით გარკვეულ პირობებზე. ეს პირობები ჩავდეთ შესაბამის ხელშეკრულებაში. შრომით კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა ჩემი პირობები შეცვალა, რაც მე არ მაწყობდა. ჰქონდა თუ არა ჩემს დამსაქმებელს, ჩემი თანხმობის გარეშე ამ პირობების შეცვლის უფლება?

– ჰქონდა.

საქართველოს შრომითი კოდექსის მე–11 მუხლის მე–2 ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას.

აქვე მოგახსენებთ შემდეგს:

ამავე კოდექსის მე–4 ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად არ მიიჩნევა:

ა) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არა უმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთანავე, არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს;

ბ) სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არა უმეტეს 90 წუთით;

ამ ორივე გარემოების ერთდროულად შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად.

წამლებს იმისთვის აწარმოებენ, რომ მოსახლეობის რაოდენობა შემცირდეს?

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსების დღე — 1948 წლის 7 აპრილი ყოველ წელს აღინიშნება, როგორც ჯანდაცვის მსოფლიო დღე. ამჟამად ეს ორგანიზაცია კაცობრიობას მოუწოდებს, სწრაფად იმოქმედონ, რათა შეამცირონ დედამიწის მოსახლეობის სწრაფად მზარდი დაბერების ტემპი და ცდილობს, რათა ადამიანებმა უფრო დიდხანს იცოცხლონ და სიბერეში ჯანმრთელობა შეინარჩუნონ.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ 21-ე საუკუნის პირველ ნახევარში დედამიწაზე მცხოვრებთა შორის ყველაზე დიდი რაოდენობით 60 წელს მიღწეული ადამიანები იცხოვრებენ, ამავე დროს მნიშვნელოვნად შემცირდება 5 წლამდე ბავშვების რაოდენობა. მეცნიერების გათვლებით, ასაკოვანი მოსახლეობის 80% დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში იცხოვრებენ.

ასაკოვანი ადამიანების ჯანმრთელობის ძირითადი პრობლემა მთელ მსოფლიოში არაინფექციური, გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის ყველა სახის დაავადებები, ინსულტი, კიბო, დიაბეტი და გახლავთ.

როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, ეს მაჩვენებელი ოთხჯერ უფრო მაღალია დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებისთვის. მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ამ დაავადებების თავიდან აცილება შესაძლებელია და ეს ძვირი სულაც არ გახლავთ.

არაინფეცქციური დაავადებების გავრცელების რისკი მცირდება, თუ ადამიანები ცხოვრების ჯანსაღი წესს მისდევენ, აქვთ ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, იღებენ ჯანსაღ საკვებს, ამცირებენ ან სრულიად გამორიცხავენ ალკოჰოლის მიღებას და უარს ამბობენ თამბაქოს გამოყენებაზე. რაც მალე გადავლენ ადამიანები ცხოვრების ამგვარ წესზე, მით უფრო მაღალი იქნება სიბერეში ჯანმრთელობის შენარჩუნების მაჩვენებელი.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ყველა ქვეყნის მთავრობებს რეკომენდაციას უწევს, გადადგან ნაბიჯები არაინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისკენ, ასევე უზრუნველყონ სისტემები და სამსახურები, რომლებიც დაავადებულებს შესთავაზებენ მკურნალობას და უზრუნველყოფენ მათ ყველა საჭიროებას. სისხლის წნევის მაღალი მაჩვენებელი გულსისხლძარღვთა დაავადებებისა და ინსულტების წარმოქმნის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ მათი თავიდან აცილება ეფექტურად შეიძლება სულ რამდენიმე ათეული დოლარის საშუალებით წელიწადში. დღეისათვის მხოლოდ დაბალი და საშუალო შემოსავლიანი ქვეყნების მოსახლეობის 15% შეუძლია იმკურნალოს სისხლის მაღალი წნევის გამო.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებს შესთავაზა რამდენიმე მიმართულება, რომელთა საშუალებითაც ადამიანები შეძლებენ ჯანმრთელობის გაჯანსაღებას და ჯანმრთელად მიაღწევენ სიბერის ასაკს:

— ჯანმრთელობის გაკაჟება და ნებისმიერი ასაკის ადამიანებისთვის ჯანსაი ცხოვრების წესის პროპაგანდა;

— ქრონიკული დაავადებების მინიმალიზაცია ადრეული დიაგნოსტიკისა და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევის გზით;

— სოციალური გარემოს ფორმირება, ფიზიკური აქტივობები და მოხუცი ადამიანების ჯანდაცვა;

— საზოგადოებრივი აზრის შეცვლა „სიბერესთან“ დაკავშირებით, სოციალური საზოგადოების ფორმირების მიზნით, სადაც ასაკოვან ადამიანებს პატივისცემით ექცევიან.

* * *

ბიოქიმიკოს შეინ ელისონის განცხადებით, „ყველა სამკურნალო პრეპარატი იმისთვის იქმნება, რათა შემცირდეს დედამიწის მოსახლეობა. გახსოვდეთ, წამლებს ჩვენ სიმპტომების მოსახსნელად ვქმნით. ჩვენ არ ვმკურნალობთ“.

მე ქიმიკოსი ვარ. მიყვარს მეცნიერული მიდგომები და ყოველთვის მიყვარდა. როდესაც მე ფარმაცევტულ მრეწველობაში ვმუშაობდი, იქ მეცნიერებაზე საერთოდ უარს ამბობდნენ. ამ ფარმაკომპანიებში გასაუბრების დროს ურცხვად აცხადებდნენ, რომ ისინი წამლებს არა მკურნალობისთვის, არამედ სიმპტომების მოსახსნელად ქმნიდნენ.

რაში მდგომარეობს ბიზნეს-მოდელი, რომელიც გულისხმობს მთელი ცხოვრების განმავლობაში ადამიანის წამლებზე დამოკიდებულებას. თუ მათ სიმპტომები გაუვლის, რა უნდა ქნა? პრეპარატების რეკლამის მომდევნო დონე დაავადებების გამოგონებაა.

თუ ექიმს არ შეუძლია დაგიმტკიცოთ, რატომ უნდა მიიღოთ რომელიმე პრეპარატი, რაც ათიდან ცხრა შემთხვევაში ხდება, ნუ მიიღებთ იმ წამალს. ეს პაციენტს გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევს. მე, როგორც ქიმიკოსს, ყოველთვის მიკვირდა, მე ვქმნი პრეპარატებს და წამლების უნარი, რომ მათ ადამიანის მოკვლა შეუძლიათ, ჩვენსა და სხვა ლაბორატორიებშიც აშკარად ჩანს. ეს ხომ საშიში, არაეფექტიანი წამლებია, რომლებიც იმავე ეფექტებს იწვევს, რომელთაგანაც უნდა განკურნონ — მაშ, როგორღა ახერხებენ მათ გაყიდვას?

მათ აქვთ მარკეტინგის განყოფილებები, ფარმაგიგანტებს

მსოფლიოში საუკეთესო, უბრალოდ, გენიალური მარკეტინგის განყოფილებები აქვთ. თქვენ უხდით პროფესიონალებს — ექიმებს, პროფესორებს, ფსიქიატრებს იმ ანგარიშებისთვის, თითქოს კვლევებმა პოზიტიური შედეგები გამოავლინა. თქვენ მათ უხდით, ე. ი. მეცნიერებას ყიდულობთ.

წელიწადში 125 ათას ადამიანზე მეტი კვდება რეცეპტიანი პრეპარატების მიღების გამო. შეიძლება იფიქრო, რომ თქვენ უფრო მეტი თანხები უნდა დაგეხარჯათ კვლევებისთვის, რომლებიც სიკვდილის დონეის შეამცირებდა. მაგრამ არა, თქვენ აგრძელებთ მარკეტინგს. რეკლამას უწევთ დაუსრულებლად და აჰიპნოზებთ მოსახლეობას.

აჰიპნოზებთ და „სვამთ“ პრეპარატებზე, აგზავნით მათ ფსიქიატრებთან, რათა უსიტყვონ განაგრძონ წამლების ყლაპვა, სულ ერთია, რა ერქმევა მათ. თქვენი ინდუსტრია კი ვითარდება და მილიარდობით დოლარს შოულობთ, ადამიანები ავადდებიან, თქვენ კი მდიდრდებით და მდიდრდებით...

* * *

ამერიკაში წარმატებით ჩაიარა ფეხის ბიონური პროტეზის გამოცდამ, რომელსაც შეუძლია ტვინიდან მომავალი ნერვული სიგნალის ამოცნობა.

აქამდე მეცნიერებმა უკვე შეძლეს ადამიანის ორგანიზმში რობოტიზებული ხელის ინტეგრიტება მოახდინათ, ახლა კი ქვედა კიდურების დროც დადგა. ჩიკაგოს სარეაბილიტაციო ინსტიტუტის ბიონური მედიცინის ცენტრის მეცნიერებმა ნერვული სიგნალების სენსორებით შეცვალეს მექანიკური გადამცემები, რომლებიც ადრე პროთეზებში გამოიყენებოდა,.

ახალი სისტემა ელექტრომიოგრაფიასეყრდნობა (ეს გახლავთ კუნთოვანი ქსოვილის აქტივობის ელექტრული რეგისტრაცია). რეგისტრატორების როლს ელექტროდები ასრულებს, რომლებიც მენჯის მეცხრე კუნთზე მაგრდება და მოძრაობის სხვადასხვა ტიპზეა პასუხისმგებელი.

პაციენტი, რომელსაც ფეხი აქვს ამპუტირებული, ჯერ ამ მოწყობილობის გამოყენებას სწავლობს, რათა სწორად გაგზავნოს სიგნალები. კლინიკურ ცდებში მონაწილე პაციენტებმა — ჯანმრთელებმაც და ინვალიდებმაც თითქმის თანაბარი სიზუსტით შეძლეს ამ მოქმედებების შესრულება. ამასთან, მეცნიერები გაკვირვებული დარჩნენ იმით, რომ ისინი არამარტო მუხლის, არამედ კოჭ-წვივის სახსარსაც აკონტროლებდნენ, აქამდე ითვლებოდა, რომ საჭირო გახდებოდა დამატებითი ნერვული დაბოლოებების იმპლანტაცია.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, გამოგონება დღეისათვის აბსოლუტურად უნიკალურია: აქამდე ვერავინ შეძლო ფეხის ორსახსრიანი მექანიკური პროთეზის შექმნა, რომელიც უშუალოდ ადამიანის თავის ტვინიდან იმართება.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ზუგდიდის რ–ნის სოფ. ჯუმის საშუალო სკოლის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის დირექტორი **კოტე თოდუა**.

კოტე თოდუა დაიბადა 1958 წლის 14 მარტს, ზუგდიდში. 1964-1974 წლებში იგი სწავლობდა ნარაზენის საშუალო სკოლაში, 1978-1982 წლებში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე; 1999-2001 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ასპირანტურაში ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალობით; 2009 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „გიორგი წერეთელი და რეალიზმის პრობლემები ქართულ ლიტერატურაში“.

1983–2015 წლებში კოტე თოდუა მუშაობდა ნარაზენის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ისტორიის მასწავ-

ლებლად, 2006-2009 წლებში იყო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ზუგდიდის ფილიალის ასისტენტ–პროფესორი, 2009 წლიდან კი – ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

2015 წლიდან კოტე თოდუა იყო სოფელ ჯუმის საჯარო სკოლის დირექტორი და ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ისტორიის სერთიფიცირებული პედაგოგი. კოტე თოდუა იყო ფილოლოგიის დოქტორი, 30-ზე მეტი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთაგან აღსანიშნავია: „რეალიზმის ელემენტები ძველ ქართულ მწერლობაში“ (2000 წ.), „პორტრეტის საკითხი ძველ ქართულ (V-XVIII საუკუნეები) ლიტერატურაში (2002 წ.), „მეორე დასი და სოციალიზმის თეორია“ (2010 წ.), „ჰერმან ჰესეს ლირიკის ზოგიერთი საკითხი“ (2010 წ.), „ემილ ზოლას ესთეთიკური შეხედულებები და ქართული „შეუფარავი რეალიზი“ (2008 წ.) და სხვა.

კოტე თოდუამ ცალკე ნაშრომები მიუძღვნა ზუგდიდის, ნარაზენის მშობლიურ სკოლასა და ასევე სოფელ ნარაზენსაც. იგი ასევე იყო 10-ზე მეტი წიგნის რედაქტორი. კოტე თოდუას ნაშრომები გამოქვეყნებულია აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ გამოცემაში „აფხაზეთის მოამბე“, „თსუ–ის ზუგდიდის ფილიალის სამეცნიერო-ლიტერატურულ ჟურნალში „მაფშალია“; თბილისის, სოხუმისა და ზუგდიდის სახელმწიფო თუ დამოუკიდებელი უნივერსიტეტების სამეცნიერო შრომების კრებულში.

კოტე თოდუა იყო ღირსეული პიროვნება, შესანიშნავი მეოჯახე, უღალატო მეგობარი და კეთილშობილი ადამიანი.

კოტე თოდუას ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულებში.

დაკრძალვა სოფ. ნარაზენში შაბათს, 22 აპრილს, 3 საათზე.

ჯუმის საშუალო
სკოლის თანამშრომლები

„საერთო გაზეთის“ რედაქცია
უსამძიმრებს დავით ქობალიას, სიძის
კოტე თოდუას
გარდაცვალების გამო.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია
თანაგრძნობას უცხადებს დოდო
პატარაიას, რძლის
ნინო უგრეხელიძის
გარდაცვალების გამო.

ISSN 2233-3983
9 772233 398001

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა